 პროლეტარეტო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ORGAN ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 ხუთშაბათი 25 აგვისტო № 198 (16938) ფასი 2 კაპ. 1977

მოსკოვში სახალხო მეურნეობის მილწევათა გამოფენაზე გრძელდება საქართველოს სსრ დღეები

გურჯაანელ მევენახეთა ბასუსად

თერჯოლელები კისრულობენ...

დიდი ოქტომბრის ხაუბილეო წლის რთველი კარს მოკვადგა. ზოგან უკვე კრეფაც დაიწყო... როგორც „კომუნისტის“ მკითხველებმა გაზეთის გუშინდელი ნომრიდან [illegible] ეცნობნენ, [illegible] მოსავლის მოლებისათვის პატრიოტული თანაშრომობა [illegible] გურჯაანელმა მევენახეებმა. მათი დაკრედიტაცია, რომ საქართველოს წლეულს 100 ათას ტონა ყურძენს [illegible] რეკორდულია!

გურჯაანელებს ერთერთი პირველნი გამოეხმაურნენ თერჯოლის რაიონის კომუნისტები, მევენახეები, რომლებიც უკანასკნელ წლებში ყურძნის მოსავლის გაზრდისათვის ზრუნვის შესანიშნავ მაგალითებს იძლევიან. ამჯერად მათი ვალდებულებაა სახელმწიფოს 22 ათასი ტონა ყურძენი მიჰყიდონ, რაც გეგმით გათვალისწინებულზე 5 ათასი ტონით მეტია.

სწორედ იმის შესახებ, თუ როგორ ფიქრობენ თერჯოლელები თავიანთი პატრიოტული სიტყვის შესრულებას, ითხრობილია ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის შესამე გვერდზე გამოქვეყნებულ საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიკომის პირველი მდივნის ა. ბურჯანაძის წერილში.

იმედია, გურჯაანელთა კარგ თაოსნობას სხვა რაიონებშიც ფრთები შეეხსმება, მას ყველგან დაუჭერენ მხარს.

საბჭოთა საქართველოს საოქტომბრო მაჯისცემა

უბნის წარმატება

ბიათურა. აქაური სამთამადნო გაერთიანების ახალი ითხვისის მაღაროთა სამმართველოს № 1 საწარმოო უბნის კოლექტივი მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს საოქტომბრო შრომითს ვახტზე. მიმდინარე წლის მანგანუმის მოპოვების 7 თვის დავალებას მან 10 პროცენტით გადააჭარბა. უბნის კოლექტივის მტკიცე განზრახვაა შრომის ასეთი ტემპის შენარჩუნებით პირველი ნოემბრისათვის შეასრულოს ორი წლის გეგმა და წლის ბოლოსათვის 8.500 ტონა ზეგეგმითი მარგანეცი მისცეს სამშობლოს.

უბნის ამ მაჩვენებლების მიღწევაში დიდი წვლილი მიუძღვით ვიარაბამამყვანებს: ქ. მაჭარაშვილს, მ. ყაბანაძეს, ვ. გოცაძეს, ლ. მიზელიძეს, ბ. მოდებაძეს და სხვებს. თვითეული მათგანი ყოველდღიურ დავალებებს 120-125 პროცენტით ასრულებს.

ა. კუპატაძე.

ახალი ითხვისის მაღაროთა სამმართველოს პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე.

რთველი ხირსაში

გუშინწინ ხიბულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში დიდი ხალხმრავლობა იყო აქ რთველის დაწყების მოსალოცად და დასახმარებლად მოვიდნენ რაიონის სოფლებიდან, კოლმეურნეობებიდან... ხირსელების ადამწყვეტლებია 3.000 ტონა ყურძენი მიეტანონ სახელმწიფო მარანში.

რთველის დაწყების ამ საზეიმო დღეს სახელოსანი დღესასწაულიც მოეწყო. შეკრება საქართველოს კპ სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ქარუმიძემ გახსნა.

მეურნეობის მშრომელებს, სტუმრებს სიტყვით მიმართა ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ბ. დავითაშვილმა. მან დამსწრეთ გააცნო რთველის ათ დღეში დამთავრების კონკრეტული გეგმა-გრაფიკი. სამუშაო პირობები, ჯილდოები და ფასიანი საჩუქრები, რომლებიც საუკეთესო შედეგებისათვის, ყოველდღიური წარმატებისათვის გადაეცემა მოწინავე ბრიგადებს, ყურძნის მკრეფავებს, ავტომძღოლებსა და მექანიზატორებს.

მეურნეობის დირექციამ, პარტბიუროს დროზე იზრუნეს რთველისათვის, ამ ადამიანებისათვის, ვინც ეს მოსავალი უნდა აიღოს და დაამბანოს. მოწყობილია დასასვენებელი ფარდულები, საზოგადოებრივი კვების ადგილები, საველე ბაღლინოთეკა, სამედიცინო პუნქტი. მეურნეობაში ყოველდღიურად 700-800-ზე მეტი კაცი მუშაობს, დღეში საშუალოდ 250-300 ტონა ყურძენს კრეფენ. ბევრი ბრიგადის ნაკვეთებიდან ჰექტარზე საშუალოდ 100-110 ცენტნერს მოელიან.

— ჩვენ გვაქვს საიმისო დანადგარები, ჭურჭელი, რაც მთავარია, გვყავს გამოცდილი კოლექტივი, რომ არცერთი წუთით არ დავაბრკოლოთ რთველი, — თქვა ხირსის ღვინის ქარხნის წარმოების უფროსმა ა. ალალიშვილმა.

მალე სიღნაღის რაიონში რთველი მასობრივად გაჩაღდება. ხირსი რთველის პირველი მახარობელია. ვინ იქნება რაიონში ნაკისრი 32.000 ტონა ყურძნის დამზადების შესრულების მახარობელი?

ვლ. მჰედლიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ექსპორტს ზრდიან

ფალენჯიხა. (საკ. კორ). საუბილეო წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებს აღწევს ჭალა-ფაფულანის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი, რომელმაც 3 თვის გეგმით გათვალისწინებული 1.660 ტონა ჩაის ფოთოლის ნაცვლად 1961 ტონა გადაამუშავა.

ფაბრიკის კოლექტივის ნახელავი როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთ მოწონებას იმსახურებს. მაგალითად, შარშან ფაბრიკამ პოლონეთში 40 ტონა პირველი და მეორე ხარისხის შავი ბაიხაო ჩაი გაუგზავნა. წლეულს პოლონელებმა ფაბრიკისგან კვლავ შეისყიდეს სურნელოვანი ჩაი, რომლის პირველი პარტია — 20 ტონა პროდუქცია იელისში გაიგზავნა. დარჩენილი 20 ტონა დამკვეთს გაუგზავნება ავგისტოს დამლევს.

ფაბრიკის კოლექტივი იბრძვის ვალდებულებით ნაკისრი 2300 ტონის ნაცვლად გადაამუშაოს 200 ტონით მეტი ნედლეული და სასახელო მაჩვენებლებით შეხვდეს დიდი იუბილეს დღეებს.

ზრდისა და წინსვლის მაუწყებელი

საუბრები საბჭოთა საქართველოს შესახებ

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საქართველოს მიღწევების დათვალიერების მეორე დღე მთლიანად მიეძღვნა რესპუბლიკის მეცნიერთა და სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა გამოსვლებს. ქვეყანის მთავარი გამოფენის რვა პავილიონში გაიმართა ლექციები და მოხსენებები საბჭოთა საქართველოს ცხოვრების, მისი შვილების სახელოვანი შრომითი გმირობის, მოკავშირე რესპუბლიკების შრომელებთან შემოქმედებითი კონტაქტების, იმ უანგარო დახმარების შესახებ, რომელსაც ისინი უწევენ თავიანთ ძმას — ქართველ ხალხს.

ბევრი მსმენელი დაესწრო პავილიონ „ცენტრალურში“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ო. ჩერქეზიას გამოსვლას. „საქართველოს სსრ საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში“ — ასეთი იყო მისი მოხსენების თემა.

საქართველოს ეკონომიკის წარმატებებზე, რომლებითაც იგი ეგებება ოქტომბრის მე-60 წლისთავს, ილაპარაკა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ვ. მელქაძემ „საბჭოთა-სამეურნეო წარმოების ეკონომიკის ორგანიზაციის“ პავილიონში.

„მეგობრობის, მეგენახეობისა და სუბტროპიკული კულტურების“ პავილიონის სალექციო დარბაზში მსმენელთა წინაშე გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ნ. ჭითანავა, რომელმაც შეკრებილთ გააცნო რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს სს რესპუბლიკაში მეცნიერების განვითარების შესახებ „ფიზიკის“ პავილიონის სალექციო დარბაზში საინტერესო მოხსენება წაიკითხა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ე. ხარაძემ.

ქართველი ხალხის ცხოვრების, შრომისა და ყოფის სხვადასხვა მხარეს გაეცნო ამ დღეს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მრავალი სტუმარი. სტუმართა ყველა კითხვაზე ამომწურავ პასუხებს იძლეოდნენ ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, რესპუბლიკის ხახლმშენის თავმჯდომარე პროფესორი ი. ციციშვილი, რომელმაც „მშენებლობის“ გაერთიანებული პავილიონის სალექციო დარბაზში ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ განვითარდა საქართველოში მშენებლობა და არქიტექტურა საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე, პროექტის მთავარმა ინჟინერმა ა. კახნიაშვილმა „ეთავისი გამოსვლა პავილიონში „სსრ კავშირის ტრანსპორტი“ თანამედროვე სატრანსპორტო სისტემას მიუძღვნა.

საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა. რესპუბლიკის კულტურისა და ხელოვნების ნაჭედრმა ოსტატებმა არა მარტო სათუთად დაიცვეს ქართველი ხალხის მდიდარი მემკვიდრეობა, არამედ შექმნეს ახალი სოციალისტური კულტურა, ლიტერატურა, ახალი სოციალისტური ხელოვნება, ამაზე „სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის“ პავილიონში ილაპარაკა რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა.

როცა საქართველოს შესახებ ესაუბრობთ, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ მისი სახელოვანი ქალები. სად არ შეხვდებით აწლა ქართველ ქალს? იგი მუშაობს ქარხნებისა და ფაბრიკების საამქროებში, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, შრომის ჩის პლანტაციებსა და ვენახებში, გამოდის სცენაზე, ეწევა ნაყოფიერ მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას. სწორედ მათ, საბჭოთა საქართველოს ქალებს, მიუძღვნა გამოსვლა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანმა ზ. კვაჭაძემ „მეგობრობისა და გამწვანების“ პავილიონის სალექციო დარბაზში.

ამ დღეს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე დამსწრეთ შემოქმედებითი ანგარიში ჩააბარეს საქართველოს პროფესიულმა და თვითმოქმედმა მხატვრულმა კოლექტივებმა, რომლებმაც ყველაზე აღფრთოვანებული შეფასება დაიმსახურეს.

მთავარ გამოფენაზე უჩვენებდნენ ქართულ სამეცნიერო-პოპულარულ და დოკუმენტურ ფილმებს.

* * *

24 აგვისტოს მილიონობით საბჭოთა ტელემაყურებელმა ეკრანზე ეკრანებზე ნახა გადაცემა „საქართველო: ერთიან ოჯახში“. ტელევიზიამ თითქოს გააფართოვა მზიურ რესპუბლიკასთან გაცნობის ჩარჩოები. ტელემაყურებელთა წინაშე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შევარდნაძე.

მ. გაბრიაძე,
ა. ვიგნანანსკი,
(საქინფორმის სპეც. კორესპონდენტები).

მოსკოვი.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ერიხ ჰონეკერს

ძვირფასო ამხანაგო ჰონეკერ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გულთბადად გილოცავენ თქვენ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამრჯე პარტიულ და სახელმწიფოს ხელმძღვანელს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეს თქვენი დაბადების 65 წლისთავს.

საბჭოთა კავშირში თქვენ გიცნობენ როგორც ფაშიზმის წინააღმდეგ აქტიურ მებრძოლს, მტკიცე მარქსისტ-ლენინელს, თანამიმდევრულ ინტერნაციონალისტს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის მეგობარს. თქვენს სახელთან, თქვენი მეთაურობით გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობასთან განუყრელად არის დაკავშირებული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხს დიდი წარმატებანი, რომლებიც მოპოვებულია განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში. საბჭოთა ადამიანები დიდად აფასებენ თქვენს სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში, სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირებასა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობაში.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგო ჰონეკერ, ჯანმრთელობასა და ახალ წარმატებებს თქვენს ნაყოფიერ მოღვაწეობაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საკეთილდღეოდ, ჩვენი პარტიებისა და ხალხების ძმური ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის ნათელი იდეალების განხორციელებისათვის.

კომუნისტური სალმით

ლ. ბრეჟნევი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ერიხ ჰონეკერის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებაში თვალსაჩინო როლის, მშვიდობისა და სოციალიზმის განმტკიცების საქმეში დიდი წვლილის აღსანიშნავად და დაბადების სამოცდახუთი წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოდეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ერიხ ჰონეკერი ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1977 წლის 24 აგვისტო.

ფ. ე. ძერჟინსკის ბიოგრაფია

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა წიგნი „ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკი. ბიოგრაფია“. წიგნში მოთხრობილია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, ფ. ე. ლენინის თანამებრძოლის, მგზნებარი რევოლუციონერის, ჭეშმარიტი პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის, ჩვენს ქვეყანაში რევოლუციის, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის თავგადებული შრომის ცხოვრებისა და ბრძოლის შესახებ.

ფ. ე. ძერჟინსკის მეცნიერულ ბიოგრაფიაზე მუშაობისას ფართოდ გამოიყენეს ვ. ი. ლენინის ნაწარმოებები, პარტიის ყრილობების მასალები, საარქივო დოკუმენტური მონაცემები, მემოარული ლიტერატურა. (საკდისი).

საოქტომბრო ვახტაზეა მთელი საბჭოეთი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ერთიანი საკავშირო მრავალეროვანი სახელმწიფოა, რომელიც ერების თავისუფალი თვითგამორკვევისა და თანასწორუფლებიანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანების შედეგად შეიქმნა.

სსრ კავშირი განასახიერებს საბჭოთა ხალხის სახელმწიფო ერთიანობას, აკავშირებს ყველა ერსა და ეროვნებას კომუნიზმის ერთობლივი მშენებლობის მიზნით.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პრუმეტიდან.

ერთიან ძმურ ოჯახში

1. თურქმენეთი

ᲓᲦᲔᲡ გაგაცნოგთ შუა აზიაში მდებარე მოკავშირე რესპუბლიკას — თურქმენეთს, მზიურ ქვეყანას. ეს ულამაზესი მხარე ეკონომიურად ერთ-ერთი ჩამორჩენილი კუთხე იყო, დღეს კი აყვავების ხანაშია.

თურქმენეთის მშრომელები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით აღჭურთოვანებული, ერთსულოვანი შემართებით შრომობენ დიდი ოქტომბრის საიუბილეო წელიწადს და პარტიის ზარეშმო მზიდრად დარაზმული იბრძვიან რესპუბლიკის, მთელი ჩვენი ქვეყნის ძლიერებისათვის.

გაზეთის მეორე გვერდზე გამოქვეყნებული მასალები, რომლებიც ჩვენი თხოვნით მოამზადეს გაზეთ „ტურკმენსკაია ისკრას“, აგრეთვე საკდისის კორესპონდენტებმა, გვაცნობენ რესპუბლიკის განვითარების ეტაპებს საბჭოთა ხელისუფლების წლებში და მის დღევანდელობას.

აშხაბადი. თურქმენეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ-ერთი დიდი სასწავლო დაწესებულებაა რესპუბლიკაში. მის აუდიტორიებში თითქმის 12 ათასი სტუდენტი მეცადინეობს. თურქმენ ახალგაზრდებთან ერთად აქ სწავლობენ 35 ეროვნების ჭაბუკები და ქალიშვილები. ყოველ წელს უნივერსიტეტს 2 ათასზე მეტი ახალგაზრდა ამთავრებს.

სურათზე: სტუდენტები სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობასთან.

ტ. ქერიმის ფოტო (საკდისის ფოტოქრონიკა).

სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის რესპუბლიკურ კომისიაში

მოწინავე გამოცდილება საერთო სიმდიდრეა

საბჭოთა აჭარის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით ეგებნენ ამ დიდ ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად. სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სატრანსპორტო ორგანიზაციებში და მშენებლობებზე ეცნობიან და მხურვალედ იწონებენ ჩვენი ქვეყნის ახალი კონსტიტუციის პროექტს.

ახალი ძალით განიდგა მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის, რეზერვების მაქსიმალური გამოყენებისათვის. ავტონომიურ რესპუბლიკაში შვიდი თვის შედეგების მიხედვით წარმოებულია 7 მილიონი მანეთის ზეგეგმითი ნაწარმი, დავალების დამატებით რეალიზებულია 6.457 ათასი მანეთის პროდუქცია. ბევრ სამრეწველო საწარმოში მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წილი, შემცირდა დანადგართა მოცდენები, მკაცრი რეჟიმი დაწესდა საამბოსა და ელექტროენერგიაზე.

დიდ შრომთან დამარჯვებებს მიაღწიეს აჭარის მეჩაიეებმა, ოთლებმაც მოკრეფეს და ჩაბარეს 48 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. ამჟამად მიმდინარეობს დაძაბული ბრძოლა კიდევ უფრო მაღალი მიზნის მისაღწევად — სახელმწიფოსათვის 55,5 ათასი ტონა „მწვანე ოქროს“ ჩაბარებისათვის.

ავტონომიური რესპუბლიკის მიერ საიუბილეო წლის გეგმების და ვალდებულებების წარმატებით შესრულების საქმეში ადამწყვეტი როლი შეასრულა შრომითმა კოლექტივებში მნიშვნელოვანი ინიციატივებისა და თაოსნობების ფართოდ გავრცელებამ. ბევრ სამრეწველო კოლექტივსა და სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტსა და მშენებლობებზე შემოქმედებითად იყენებენ თბილისის ქარხანა „ცენტროლიტის“ მეკოლის გ. კორტანაძის, თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ გამომცვლელის გ. რომნისთაველის, რუსთავის მეტალურგთა და ბათუმის მანქანათმშენებელთა კოლექტივების, ქ. ჭუთაისისა და ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის პარტიული ორგანიზაციების თაოსნობებს.

სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის რესპუბლიკური სვერდლოვსკელთა მეთოდს ავტონომიურ რესპუბლიკაში ბევრი მიმდევარი ჰყავს. ამ მიმართულებით ეფექტიანად მუშაობენ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში, ტყავდამამზადებელ გაერთიანებაში, გიმომშენებელ ქარხანაში, ხიბულოსბინაში, რაც სპეციალისტების გაანალიზებით, მარტო მიმდინარე ხუთწლეულში საშუალებას შექმნის ინდუსტრიის სამრეწველო სიმძლავრეების 90 მილიონი მანეთით გაიზარდოს. აქტიურად უჭერენ მხარს თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ გამომცვლის გ. რომნისთაველის თაოსნობას. აღსანიშნავია, რომ მომუშაურნეობის ოსტატის მიმდევარნი გაჩნდნენ არა მარტო ტყავფეხსაცმლის დარგში, არამედ ბათუმის სამკერვალო გაერთიანებაშიც, სადაც 7 თვის მანძილზე 100 ათას კვადრატულ მეტრამდე ქსოვილი დაზოგეს.

მეჩაიეთა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბევრი პარტიული ორგანიზაცია სოციალისტურ შეჯიბრებას ეფექტიანად უძღვება. ამას წინათ აქ გადაწყვეტილ ნაცვლად ვალდებულებით აღრე ნაკისრი 3 ათასი ტონა ჩაისა მოკრეფონ და სახელმწიფოს ჩაბარონ დამატებით კიდევ 1.300 ტონა ჩაის ფოთოლი. ამ ამოცანის გადასაჭრელად ავტონომიური რესპუბლიკის ჩაის პლანტაციების მშრომელებს ყველა პირობა აქვთ, და, რაც მთავარია, აქვთ მოწინავე გამოცდილება ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობისა, სადაც შარშან სარეკორდო შედეგს მიაღწიეს.

მაგრამ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების განადგურების საქმეში წარმატებები გაცილებით მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ არ იყოს ზოგიერთი

(დასასრული მე-2 გვ.)

24 აგვისტო

„პრავდის“ ფურცლებზე

პირველ გვერდზე გამოქვეყნებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ორსკის საქალაქო კომიტეტის მიერ იდეიურ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხების კომპლექსურად განხორციელების თაობაზე.

პირველსავე გვერდზე ნახავთ „პრავდის“ საკუთარი კორესპონდენტის გ. ლებანიძის ინფორმაციას „საქართველოს მეჩაიეებთან“ (რუბრიკა — „მოსავლის ესტაფეტა“).

რესპუბლიკის პუბტროპიკული ზონა, — წერს კორესპონდენტი, — საათაც უნდა გაიხედოთ ველებზე თუ გორაკებზე, მწვანე ტალღებად გადაჭიმული ჩაის პლანტაციები. ბევ ჩაის ფაბრიკისაკენ აქედან დღედაღამ უწყვეტ ნაკადად მიდიან ახალი მოსავლის ნედლეულით დატვირთული ავტომანქანების კოლონები. მეჩაიეები გვპირდებიან, რომ სახელმწიფოს არნახული რაოდენობით ჩაბარებენ პროდუქციას — 400 ათას ტონას, რაც გეგმაზე 73 ათასი ტონით მეტია. პლანტაციებში მუშაობენ ჩაის საკრეფი მანქანები, ჩხარუნობენ ხელის ამარატები, ციცაბო ფერდობებზე კი, სადაც მექანიზმების გამოყენება შეუძლებელია, ხელით კრეფენ ფოთოლს.

რედაქციის ფოსტაში ბევრი წერილია პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების შესახებ.

ეს თემა ისევ გამოხმაურებებშიც მასალაზე „შენი პოზიცია, კომუნისტო?“. გუშინდელი „პრავდა“ აქვეყნებს თვალსაჩინო კორესპონდენტების ორ წერილს კომუნ ტა რ ე ბ თ ან ერთად („ხელმძღვანელის ვალი მოგიწოდებს“).

ამას წინათ გამომცემლობა „პოლიტიზდატმა“ გამოუშვა დოკუმენტური მონათხრობი — „ლენინი. ჩვიდმეტის ოქტომბერი“. ამ გამოცემის გამო გაზეთის მეორე გვერდზე გამოქვეყნებულია ნ. ტარასენკოს წერილი — „რევოლუციის საჩესთან“.

გაზეთის მესამე გვერ დ ი კლავ დათმობილი აქვს სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვას — „ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი“. მეხუთე და მეექვსე გვერდები მკითხველს აცნობენ საერთაშორისო ცხოვრებას, მეექვსე გვერდზე კი შეგიძლიათ წაიკითხოთ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილის ა. ბურნაზიანის სტატია — „ბიოთანამგზავრი დაბრუნდა“ („კოსმოსი-936“: ჩვენი კომენტარი“).

ვიზიტი დამთავრდა

24 აგვისტოს ირკუტსკიდან კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაემგზავრა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე ამხანაგი ი. ბროზ ტიტო, რომელიც სსრ კავშირში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით. გამგზავრების წინ იუგოსლავიის სხვა პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებთან ერთად ი. ბროზ ტიტომ ყვავილები მიიტანა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე დაღუპულ ციმბირელ მეომართა პატივსაცემად აღმართული მემორიალის მარადიულ ცეცხლთან.

ამხანაგ ი. ბროზ ტიტოსთან ერთად გემგზავრნენ მისი თანმხლები იუგოსლავიის ოფიციალური პირნი.

აეროპორტში ი. ბროზ ტიტო გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მ. ს. სოლომენცევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ე. პოლიკარპოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

იუგოსლავი სტუმრები გულთბილად გააცილეს ირკუტსკის მშრომელებმა (საკდისი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება და საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივისათვის აწყობენ

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კითხვას,

რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავსა და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვას ეძღვნება.

მორიგი კითხვა 25 აგვისტოს 17 საათზე გაიმართება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის სხდომათა დარბაზში (შ. ჩიტაძის ქ. № 6).

მოხსენებას თემაზე — „დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი ამოცანები“ — გააკეთებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ზ. ა. ჩხეიძე.

60

ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო სახალხო განხილვა

60 თურქმენეთის სსრ ადმინისტრაციული რაიონები

საოქტომბრო ვახტვმა მთელი საბჭოთა ერთიან ძმურ ოჯახში

2. თურქმენეთი

რაიონული გაზეთი და მკითხველები

ადამიანზე ზრუნვით

საუბარი მრგვალ მაგიდასთან

ამ დღეებში გაზეთ „განახლებული ადამის“ redakciaში შეიკრიბა რაიონის ოვაწლმოსილ ადამიანთა ერთი ჯგუფი და მრგვალ მაგიდასთან სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ საინტერესო, საქმიანი საუბარი გაიმართა.

სანეიფსაგდგურის განყოფილების გამგემ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა ექიმმა **დ. დავითაიამ** განაცხადა, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტის შესწავლის დროს მკაფიოდ ვლინდება მისი სიღიადე. იგი გამსჭვალულია მშრომელ ადამიანებზე ზრუნვით. ჩვენს რაიონში ასობით სამედიცინო დარგის მუშაკი მოღვაწეობს, ბევრი მათგანი პატიოსნად ემსახურება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას. მუშაობის დონის შემდგომ ამაღლებაში დიდად დაგვეხმარება ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი. უფლებანი, რომელსაც იგი გვანიჭებს, ამავე დროს გვავალებს მთელი ენერგიით ვიმუშაოთ.

ბამის პირველი საშუალო სკოლის დირექტორმა **ბ. ქოიპამ** ძირითადად სწავლა-აღზრდის პრობლემები გააშუქა. მან აღნიშნა, რომ ძალიან დიდი მოსაპოვებელია ახალგაზრდობის საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელება, სასწორო სახელმძღვანელოების უფასოდ გაცემა, სკოლამდელ დაჯგუფებზე სწავლების შესაძლებლობა... ამასთან მან წამოაყენა ზოგიერთი წინადადება პროექტის გამო. მისი აზრით, **66-ე მუხლში უნდა ჩაემატოს სიტყვები „საზოგადოებრივი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ზრუნავდნენ ახალგაზრდობის აღზრდისათვის“**, 42-ე და 106-ე მუხლები გაერთიანდეს ასეთი ფორმულირებით: **„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო იღებს და საჭიროების შემთხვევაში მას ცვლილება შეაქვს კონსტიტუციაში და ახორციელებს კონტროლს კონსტიტუციის დაცვისადმი, უზრუნველყოფს მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციების შესაბამისობას“.**

— ჩვენი ფაბრიკის შრომითი კოლექტივი ერთსულოვნად იწონებს კონსტიტუციის პროექტს და მგარე უმეტეს პარტიის საშინაო და საგარეო სამშვიდობო პოლიტიკას — აღნიშნა სეკრეტარი ფაბრიკის დირექტორმა **ო. ბაბელაშვილმა.** — ჩვიდმეტი წლის წინათ, როცა ფაბრიკა პირველად ჩადგა მწყობრში, მხოლოდ 45 საქმოსანი დაზგა გვედგა, ამჟამად 258 ერთეულია. ჩვენი საწარმოს მშრომელები აღფრთოვანებული არიან, რომ ასეა დაფასებული მუშის შრომა, რომ პარტია და ხელისუფლება განუხრელად ზრუნავენ მშრომელ ადამიანზე. აი, თუნდაც ის რად ღირს, რომ კონსტიტუციურად დაკანონდება 21-ე მუხლი: „სახელმწიფო ზრუნავს იმისათვის, რომ დაუბრკოლებელ შრომის პირობები, შემცირდეს, მერე კი მთლიანად განიდევნოს მძიმე ხელის შრომა წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საფუძველზე“. ამ ზრუნვის საპასუხოდ ჩვენი კოლექტივი, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის ნაკისრი გადიდებულ ვალდებულებას წარმატებით შეასრულებს.

ა. ჩაგანავა — მექანიკური ქარხნის ხარატი: — რაიონმა მთლიანად იცვალა სახე. სადღაა ძველი ქოხმახები და ისლით დახურული სახლები. ჩვენი საწარმო ადრე პატარა სახელოსნო იყო. დღეს აქ 110 მუშა-მოსამსახურე, 50 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი შრომობს. მე მუშა ვარ და ეგრძნობ ახალი კონსტიტუციის სიკეთეს, მის ზრუნვას მშრომელ ადამიანებზე. თითოეული წევრი რომ ყურადღებით არის გარემოსილი, ეს მახალისებს, და ახალ ძალებს მმატებს, მეხმარება პირწათლად შევასრულო საოქტომბროდ ნაკისრი ვალდებულებები.

დ. მელია — ვეტერანი კომუნისტი, პერსონალური პენსიონერი: — მომსწრე ვარ წინანდელი კონსტიტუციების მიღებისა და მახსოვს, რა ვიყავით ადრე, როგორ ვიბრძოდით ამ ნათელი დღეებისათვის. გვეამაყება, რომ კომელის თავზე მშვიდობის დროშა ფრიალებს და ჩემი ქვეყანა მსოფლიოს მოუწოდებს საყოველთაო მშვიდობიანი ცხოვრებისათვის, რომ ჩვენში ომის პროპაგანდა კანონით არის აკრძალული. ახალი კონსტიტუციის პროექტმა მთელ მსოფლიოს უჩვენა, როგორ არის გარანტირებული ჩვენი ადამიანების ცხოვრება და უფლებები. პარტია ხალხისათვის არსებობს და ხალხს ემსახურება. მახარებს ამაშილთა ახლანდელი მიღწევები. შემდგომ წარმატებებს ვუსურვებ რაიონის მშრომელებს.

დ. სურმავა — კეთილარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე: — ახალი კონსტიტუციის პროექტის სიჯარო განხილვისათვის გამოტანა ერთხელ კიდევ მკაფიოდ მოწმობს სოციალისტური დემოკრატიის უპირატესობას. საგულისხმოა, რომ პარტიას სურს გაიგოს ხალხის პიროვნული აზრი — ყველას შეუძლია საქმიანი, მეცნიერულად დასაბუთებული აზრის, წინადადების წამოყენება, რაც ჩვენი წყობილების დემოკრატიულობას, ჰუმანურობას მოწმობს. იგი სოფლის ყრილობაზე განვიხილეთ, ამჟამად კი დეტალურად ვსწავლობთ. „პროექტში“ ბევრი თქმული სახალხო დეპუტატთა საბჭოებზე. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ყველა საბჭოს დეპუტატთა რწმენებულების ადგილ ერთიანი იქნება.

საუბრის მონაწილენი შეეხნენ აგრეთვე რაიონის ამოცანებს, იმას, თუ როგორ გააშუქოს უკეთ გაზეთმა „განახლებულმა ადამამ“ პრობლემური საკითხები, რაიონის ცხოვრებაში მომხდარი დადებითი ძვრები, სასარგებლო ღონისძიებანი. რომელთა მიზნია რაიონის ეკონომიკის წინსვლა.

ბ. მილიუტინი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

წინადადებები

ისევ არაშრომითი შემოსავლის შესახებ

გაზეთ „კომუნისტის“ 12 ივლისის ნომერში დაიბეჭდა ამბროლაურის რაიაღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ყ. ლეფავას წერილი სათაურით: „ისევ შრომითი შემოსავლის გამო“, რომელშიც ავტორი აყენებს თავის წინადადებას კონსტიტუციის პროექტის მე-12 მუხლის უკანასკნელი აბზაცის შესახებ.

ავტორს მე-12 მუხლი სურს ასე ჩამოყალიბდეს: **„თუ მოქალაქენი პირად საკუთრებაში არსებულ ქონებას გამოიყენებენ არაშრომითი შემოსავლის წყაროდ, რასაც შეუძლია საზოგადოებას ზიანი მოუტანოს, ისინი დაისჯებიან კანონის შესაბამისად“.**

ასეთ ფორმულირებას არ ვეთანხმები, რადგან ამ შენიშვნით მე-12 მუხლის აღნიშნული აბზაცი სულ სხვა შინაარსს იღებს. გამოდის, რომ მოქალაქის შეუძლია თავისი ქონებიდან რამდენიც უნდა იმდენი არაშრომითი შემოსავალი მიიღოს, და ის არ დაისჯება, თუ ამ შემოსავლის შედეგად საზოგადოებას ზიანს არ მოუტანს!

განა, არაშრომითი შემოსავალი მხოლოდ საზოგადოებისათვის ზიანის მოტანის შემთხვევაში უნდა აიკრძალოს? ვფიქრობ, იგი უნდა აიკრძალოს ყველა შემთხვევაში და შემოსავლის თანხის რაოდენობის მიუხედავად.

„პროექტის“ მე-12 მუხლის უკანასკნელი აბზაციც სწორედ ამ აზრს გამოხატავს, რადგან სოციალისტურ ქვეყანაში არაშრომითი შემოსავალი არ უნდა არსებობდეს.

მაგრამ, ჩემი აზრით, ეს აბზაცი მაინც დაზუსტებას მოითხოვს და იქნებ სწორს ასე ჩამოყალიბდეს:

„ქონება, რომელიც პირად საკუთრებად და სარგებლობისათვის აქვთ მოქალაქეებს, არ შეიძლება იყოს არაშრომითი შემოსავლის მიღების წყარო (მიუხედავად ამ შემოსავლის თანხის რაოდენობისა) ან გამოიყენებულ იქნეს საზოგადოების საზიანოდ. დამრღვევნი კანონის შესაბამისად დაისჯებიან“.

გ. ჩორგოლაძე,
პენსიონერი, თბილისი.

□

უმჯობესია ალამზე

გაზეთ „კომუნისტში“ წაიკითხე ბ. ციცვიძის წინადადება — კოსმოსური რაკეტა გამოსახული იყოს საბჭოთა კავშირის გერბზე. ჩემი აზრით, გერბი ისე ორიგინალურადაა შექრული და ჩასმული ოქროს თავთავებში, რომ აქ იგი ზედმეტი იქნება. უმჯობესია რაკეტა აისახოს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალამზე.

დ. გედიანიძე,
ზესტაფონის რაიონის ბოსლევის საშუალო სკოლის დირექტორი.

ერთიან ძმურ ოჯახში

ერთი ქვეყანა, საერთო ბედი

მ. გაკუროვი,
თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

თურქმენეთის მშრომელები, ისევე როგორც ჩვენი საძმობლოს ყველა ხალხი, საბჭოთა ხელისუფლების სახელოვან იუბილეს ხვდებიან დიდი წარმატებებით ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნაკადი ხელმძღვანელობით მტკიცედ ხორციელდება პარტიის XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი. სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაქანება გამოიწვია რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“. თურქმენები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ამ ისტორიულ დოკუმენტს.

პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის მეთხუთმეტ თურქმენებმა რამდენიმე ათეული წელიწადში განვლეს გზა, რომელიც საუკუნეებს უღირს. თურქმენეთი მაღალგანვითარებული მრეწველობისა და მექანიზებული სოფლის მეურნეობის მხარე გახდა.

რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი სამართლიანად ამაყობენ იმით, რომ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის შთაგონებელ შრომას, ერთიან ნებასა და მოქმედებას შესანიშნავი ნაყოფი მოაქვს. შარშან მრეწველობის მთლიანი პროდუქციის საერთო მოცულობამ 1913 წლის დონეს 70-ჯერ და მეტად გადააჭარბა, ნავთობის მოპოვება გაიზარდა რამდენიმე ათეულჯერ, ელექტროენერგიის გამომუშავება — 2.000-ჯერ და მეტად. უპირატესი ტემპით ითარდება ინდუსტრიის წამყვანი დარგები — ქიმიური, ბამბის საწმენდი და განსაკუთრებით გაზისმომპოვებელი მრეწველობა. 1976 წელს რესპუბლიკის გაზის მრეწველობის მუშაკებმა სამშობლოს მისცეს 62,6 მილიარდი კუბური მეტრი გაზი, რამაც ქვეყანაში მისი მოპოვების თითქმის მეხუთედი შეადგინა.

ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ეფერო მეტი უნდა გავაკეთოთ. ჩვენი რესპუბლიკა სამშენებლო ხარაჩოებშია. სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად შენდება ჩარჯოუს ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა. გრძელდება მარის სახელმწიფო ოროონული ელექტროსადგური. მშენებლობა, წარმოება შატლიყისა და სხვა გაზის საბადოების ათვისება. ხუთწლედის დამკვრელურ მშენებლობათა რუკაზე აღნიშნულია ჩარჯოუს მცირე საელექტროქიცო და მარის აზოტიანი სასუქების ქარხნები, მრეწველობის სხვა დარგების მთელი რიგი საწარმოები. გრძელდება ყარაყუმის ე. ი. ლენინის სახელობის არხის მშენებლობა, რომელიც ასიათასობით ჰექტარ მიწას მორწყავს.

დიდია რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის წვლილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ განვითარებაში. ჩვენი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დიდმწარმოებლური ტექნიკით აღჭურვილი მრავალდარგოვანი მეურნეობები გახდნენ. ახლა მინდორებში მუშაობს 40 ათასზე მეტი ტრაქტორი, 10 ათასამდე სატვირთო ავტომობილი, 10,5 ათასი ბამბის ასაღები მანქანა და ბევრი სხვა ტექნიკა. ზედიზედ უკვე რამდენიმე წელია თურქმენეთი სახელმწიფოს ამარებს მილიონ ტონაზე მეტ ბამბას. წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის საფუძველზე განუწყვეტელი იზრდება მარცვლეულის, ბოსტნეულის, ამბრეშუმის პარკის, ხორცის, რძის, კრეველისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის მიყიდვა.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე რესპუბლიკაში ნამდვილი კულტურული რევოლუცია მოხდა. სამოდამდე მუშაო ბოლო მოსახლეობის უწიგნორობას. თურქმენეთში აღიზარდა სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის შესანიშნავი კადრები. აღმავლობის გზაზეა ხელოვნება. უმიგალითოდ აყვავდა თურქმენეთის საბჭოთა ლიტერატურა — ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური. მასში შესისხლხორცებულია ხალხური პოეზიის უმდიდრესი მემკვიდრეობა, რუსული ლიტერატურისა და მომძღ ხალხთა ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციები.

თურქმენ ხალხს ესმის: ყველაფერი ამისათვის, რასაც მან მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე, უნდა უმადლოდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ბრძნულ ხელმძღვანელობას, მუდმივ საბჭოთა ხალხებთან მეგობრობას. ეს მეგობრობა გამოაწრთო, ორღვევი ბანდა ერთად განაქელილა დიდმა და ძნელმა გზამ. ჩვენს ქვეყანაში ყველა ხალხი ერთ ოჯახად ცხოვრობს, რომლებსაც საერთო ბედი აქვთ. ეს ახალ ძალებს გვმატებს, ფაროთ ასპარეზს გვასახავს ყველა ერისა და ერეროვნების შემდგომი აყვავებისათვის. ჩვენ ვალვაც გავეფრთხილდებით და განვამტკიცებთ ამ მეგობრობას.

ნავთობის ჭაბურღილებზე



ლენინ ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის 40 ათასი ტონა ზეგეგმითი ნავთობის ამოღება იკისრა „თურქმენეთნავთობის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა. მეათე ხუთწლედში მეგავთობეები 12 ახალ პერსპექტიულ მოედანს აითვისებენ.

ნებიტ-დაღის საბურღ სამუშაოთა სამმართველოში ერთ-ერთი საუკეთესოა ბურღვის ოსტატის ნ. რადჩენკოს ჭაბურღილის ბრიგადა, რომელიც სამუშაოებს ბარსა-გელმეხის რაიონში აწარმოებს. ხუთათზე თქვენ ამ ჭაბურღილს ხედავთ.

ვ. ველიკანინის და ვ. ზლენკოს ფოტო (საკადრისის ფოტოქრონიკა).

რესპუბლიკა დღეს

თურქმენეთის სს რესპუბლიკის ტერიტორია 488,1 ათასი კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა — 2.650 ათასი კაცი. დედაქალაქია აშხაბადი, სადაც 302 ათასი კაცი ცხოვრობს.

● ეკონომიკის და კულტურის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის რესპუბლიკა დაჯილდოებულია ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის და ხალხთა მეგობრობის ორდენებით.

● რესპუბლიკის ტერიტორიის 80 პროცენტი ყარაყუმის უდაბნოს უჭირავს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბევრი რამ გაკეთდა მისი ათვისებისათვის. გაყვანილია უზარმაზარი ხელოვნური მდინარე — ვ. ი. ლენინის სახელობის ყარაყუმის არხი.

● არხის ზონაში ათვისებულია 150 ათასი ჰექტარი ყამირი მიწები, სადაც წლიურად 300 ათას ტონა ბამბას და ბევრ სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქციას აწარმოებენ.

● თურქმენეთს ნავთობის მოპოვებით მესამე ადგილი უჭირავს ჩვენს ქვეყანაში.

● შარშან რესპუბლიკამ 5.170 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია მისცა ქვეყანას. ახლა რესპუბლიკა დღეში 5,6-ჯერ მეტ ელექტროენერგიას იძლევა, ვიდრე მთელმა იმპერიასპიისპირეთმა 1913 წელს გამოიმუშავა.

● თურქმენეთი ქვეყნისათვის გაზის ერთ-ერთი ძირითადი მიმწოდებელია, შარშან აქ 62,6 მილიარდი კუბური მეტრი საწვავი მოიპოვეს.

● ბამბის ბოჭკოს მოპოვება საბჭოთა ხელისუფლების წლებში 32-ჯერ გაიზარდა და შარშან 1 მილიონ 57 ათასი ტონა შეადგინა.

● ყოველწლიურად რესპუბლიკაში 4,5 მილიონი ეგზემპლარი წიგნი გამოდის, ვაჭრობების წლიური ტირაჟი 170,5 მილიონი ეგზემპლარია.

● მომდინარე წლის დასაწყისში რესპუბლიკაში 1.301 მასობრივი ბიბლიოთეკა იყო, 7,4 მილიონი ეგზემპლარი წიგნადი ფონდით, 987 საკლუბო დაწესებულება, 1.174 კინოდანადგარი და 7 პროფესიული თეატრალური კოლექტივი.

ინფორმაცია

გვატყობინებენ „ტურკმენსკაია ისკრის“ კორესპონდენტები

აგრილებს... მზე

აშხაბადი. თურქმენეთის დედაქალაქში შენდება საცხოვრებელი სახლების უჩვეულო კომპლექსი, რომელსაც გაგრილებს... მზე. სიგრილეს ბინებში მოიტანს ორთქლის გათბობის რადიატორები, რომლებშიც ზაფხულობით წყლის მაცივრული ცირკულაცია მოხდება, სისტემა სამაცივრო დანადგარის პრინციპით იმოქმედებს.

ასეთმა სახლებმა გამოაცდა გაიარეს აშხაბადის მახლობლად მდებარე ბექეროვის დაბაში, სადაც თეზიკა-ენერგეტიკის ინსტიტუტის ჰელიოტექნიკის ლაბორატორია არსებობს. როცა გარეთ ჩრდილში სიცხე 40 გრადუსს აღწევდა, ბინებში 15-20 გრადუსით ნაკლები ტემპერატურა იყო.

რესპუბლიკაში 230-240 დღე მზიანია წელიწადში. ამიტომ მეცნიერების მიზანი ის არის, რომ ეს უხვი ენერგია ადამიანის სამსახურში ჩააყენონ.

ი. ლიაკუნოვი.

□

ოქროსფერი ყარაკული

ჩარჯოუ. ფერადი მაუდაკის წარმოება თურქმენეთის მეყარაკულეობის განვითარების ახალი მიმართულებაა. აქამდე რესპუბლიკა მხოლოდ შავ და ნაცრისფერ ყარაკულს აწვდიდა მომხმარებელს. მაგრამ აი მეცნიერთა და სპეციალისტთა მეცადინეობით გამოყვანილია ცხვრის ახალი ტიპი, რომელსაც „სური“ ეწოდება. ასეთი ბატკნის მაუდაკი ოქროსფერი და ვერცხლისფერია. იგი ერთნახევარჯერ, ორჯერ თფრო ძვირფასია, ვიდრე ჩვეულებრივი ყარაკული.

წელს თურქმენი მეყარაკულეები მილიონ 150 ათას ცალ ყარაკულს მაუდაკს მიაწვდიან მომხმარებელს.

ვ. კოჯლოვი.

□

ახალი დაბა

დეინაუ. ძველი სოფლის დეინაუს გვერდით აშენდა ახალი კეთილმოწყობილი დაბა, რომელიც სოფლის მშრომელთა საცხოვრებელი სახლებით და დასასვენებელი კერებით დამშვენდა. ერთსართულიანი კოტეჯები, რომელთა პროექტი თურქმენ არქიტექტორებს ეკუთვნის, მიტად ლამაზი და საცხოვრებლად მოხერხებულია.

დაბაშია კულტურის სახლი, საზაფხულო და საზამთრო კინოთეატრები, სასტუმრო, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი, საკვებო ცენტრი, სამაგრო ბაგა-ბაღი, ბინებში გაყვანილია გაზი, ცხელი წყალი.

დაბას გარს არტყია მწვანე ზონა, რომელიც მას ცხელი ქარებისაგან დაიცავს.

ბ. ბაშაროვი.

არხი კასპიის ზღვამდე

ყარაყუმი. გრძელდება ყარაყუმის არხის მშენებლობა. იგი დღეითიდღე მიიწევს წინ, სიცოცხლე შეაქვს უკაცრიელ უდაბნოში.

ყარაყუმის არხს დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის ეკონომიკისათვის. ამიტომ მისი მშენებლობა კასპიის ზღვამდეა გათვალისწინებული. როცა ეს ხელოვნური მდინარე კასპიის ზღვას შეუერთდება, მისი სიგრძე 1450 კილომეტრს მიაღწევს. ამჟამად კი იგი 971 კილომეტრი სიგრძისაა.

მ. აბდულაევი.

მოწინავე გამოცდილება საერთო სიმდიდრეა

(დასასრული)

პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციის მხრივ სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში სერიოზული ნაკლოვანებები, ფორმალური, არაშემოქმედებითი მიდგომა მოწინავე გამოცდილების გავრცელებისადმი. კომისიის წევრებმა სწორედ ამაზე გააამახვილეს ყურადღება. აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში წარმოების ზრდის ტემპები ჯერ კიდევ დაბალია, არის ისეთი საწარმოებიც, რომლებიც აღწევენ სახელმწიფო გეგმების კორექტირებას შემცირებისაკენ. არ სრულდება ბინების ექსპლოატაციიდან შეყვანის დავალებანი. ნელი ტემპით სრულდება სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების გეგმები.

სხდომაზე მოყვანილ იქნა სოციალისტური შეჯიბრებისადმი ფორმალური, ბიუროკრატიული დამოკიდებულების კონკრეტული ფაქტები. ასე, მაგალითად, შეჯანიკურ-სამსხმელო და ქიმიურ ქარხნებში, ბათომის თამბაქოს ფაბრიკაში საიუბილეო წელს ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვების ბრიგადების შეჯამებული ვალდებულებანი რამდენჯერმე აღემატება მთლიანად საწარმოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებს.

ბათომში მომუშავე 150 საწარმოო ბრიგადიდან ნახევარზე მეტი ფორმალურად ითვლება სოციალისტური შრომის გმრის გ. კერტანაძის მიმბაძველად, ცალკეულ პარტიულ, პროფკავშირულ სამეურნეო მუშაკებს, რომლებიც მოწოდებული არიან პროპაგანდა გაუწიონ მოწინავე გამოცდილებას და დანერგონ იგი, წარმოდგენა არა აქვთ ამ მოძრაობის შინაარსსა და არსზე. ანალოგიურად მდგომარეობაა მშენებლობაზეც. № 5 სამშენებლო ტრესტსა და ბათომის სახლმშენებელ კომბინატის სისტემებში შექმნილ სოციალისტური ორგანიზაციისა და ინიციატივების ორგანიზაციის ფორმალურ-ტექნიკური მომარაგების გამო, ფაქტიურად ძველებურად მუშაობენ. ავტონომიურ რესპუბლიკაში ამჟამად არ არის არცერთი სამრეწველო საწარმო, სამშენებლო ორგანიზაცია, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, რომელიც კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელს ატარებდეს.

სხდომაზე საფუძვლიანად ილაპარაკეს ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის ინიციატივაზე ვადამატებული საწარმოო ფართობიდან პროდუქციის მოხსნის გაზრდის, ფონდამოგების ამაღლების ბედის შესახებ. ამ თაოსნობას რესპუბლიკის ათობით საწარმომ დაუჭირა მხარი. წლის დამდეგიდან მარტო ამის ხარჯზე ბათუმის საწარმოებში პირობითად გამოთავისუფლებულ იქნა 6,5 ათას კვადრატულ მეტრამდე სამრეწველო ფართობი, რომლიდანაც 3 მილიონამდე მანეთის პროდუქცია მიიღეს. მაგრამ თვითონ ინიციატორმა ამ დროს, სამწუხაროდ, დათმო მოწინავე პოზიციები, ხელიდან გაუშვა აჭარის ინდუსტრიის ფლაგმანობა. შეჯმნილი მდგომარეობა ბევრად არის განპირობებული ქარხნის ხელმძღვანელობისა და პარტიული ორგანიზაციის უყურადღებობით მომარაგების საკითხებისადმი, რაც უარყოფითად დაეტყო ამ მნიშვნელოვანი თაოსნობის შემდგომ ფოფრ ღრმად განვითარების საქმეს.

აჭარის პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს ბევრის გაკეთება მოუწევთ შრომითი შეჯიბრების შედეგების შედარებისა და საჯაროობის შემდგომი სრულყოფისათვის, შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის, ყველა საწარმოში ქუთაისის ქალაქკომისა და პირველ მაისის (ქ. თბილისი) პარტიკომის ინიციატივის — ვიმუშაოთ ჩამორჩენილების გარეშე. ყოველთვიურად გადავაჯარბოთ საწარმოო დავალებებს — მთელი სიგრძე სიგანით დანერგვისათვის. სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა იმის აუცილებლობაზე, რომ ავტონომიურ რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ამაღლდეს ორგანიზატორული მუშაობის დონე.

მთლიანად რესპუბლიკურმა კომისიამ, აღნიშნა რა 7 თვის შედეგების მიხედვით სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებანი საჭიროდ ცნო, რომ აჭარის ასს რესპუბლიკაში სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა, მნიშვნელოვანი ინიციატივებისა და თაოსნობათა, აგრეთვე მოწინავე გამოცდილების გავრცელება საგრძნობლად გაუმჯობესდეს.

სხდომაზე გამოსულმა ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის დირექტორმა შ. კაკაძემ, № 5 სამშენებლო ტრესტის პარტკომის მდივანმა გ. ვარშალომიძემ, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენის კოლმეურნეობის პარტკომის მდივანმა მ. ზოიძემ, საქართველოს კომპარტიის ბათუმის ქალაქკომის მრეწველობის განყოფილების გამგემ ო. მარგალიტაძემ და საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ვ. ჩიგოგიძემ აღფოთქვეს რესპუბლიკურ კომისიას, რომ აჭარის მშრომელები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ უკეთესად, ნაყოფიერად ნაკისრი ვალდებულებანი, მოკლე დროში აღმოფხვრან სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციასა და მუშაობის მოწინავე მეთოდების გავრცელებაში არსებული სერიოზული ხარვეზები, მიაღწიონ ახალ წარმატებებს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების განხორციელების საქმეში.

სხდომის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კომპარტიის მეორე მდივანმა ამხ. გ. ვ. კოლბინმა.

ო. არობელიძე.
მ. ხატისკაცი.

მასწავლებელთა კვლევისტოს თათბირებისათვის

მასწავლების იერსახე

საბჭოთა სკოლის განვითარება-სრულყოფის თანამედროვე ეტაპის ახალი გრანდიოზული ამოცანებისა და საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობის დიდმნიშვნელოვანი შედეგების შესაბამისად რესპუბლიკის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ახლებურად წარმართვის მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყოველთვიურმა სამეცნიერო-პედაგოგიურმა ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ შემოიღო ახალი რუბრიკა „სადისკუსიო დარბაზი“, რომელშიც განხილვის წესით გამოქვეყნდება წერილები და წინადადებანი მასწავლებლის იერსახის შესახებ.

ამჟერად ამ რუბრიკით ჟურნალის ახლახან გამოსულ მე-8 ნომერში იბეჭდება სოხუმის სახელმწიფო პედინსტიტუტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგის, პროფესორ ოთარ ჭურღულიასა და ცნობილი ქართველი საბჭოთა მწერლის, ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მთავარი რედაქტორის მარიკა ბარათაშვილის წერილები. ამავე თემას ეძღვნება ჟურნალის მოწინავე წერილიც — „მასწავლებლის იერსახე“.

მათში ყურადღება გამახვილებულია იმ საკითხებზე, თუ როგორი უნდა იყოს თანამედროვე საბჭოთა მასწავლებელი ცოდნა-გამოცდილებითა და იდეურ-პოლიტიკური მრწამსით, როგორ წარმოგვიდგენია მისი ზნეობრივ-მოქალაქეობრივი პროფილი, ტაქტი და ავტორიტეტი. ჩაცმა-დახურვა და მთელი მისი იერსახე.

ჟურნალის ფურცლებზე წამოწყებული ეს დისკუსია გამიზნულია იმ საგულისხმო შთანაყოლის ხორცშესასხმელად, რომელიც ითვალისწინებს მასწავლებლის ზოგადი იერსახის შესახებ რაღაც „მოსწავლეთა ქცევის წესების“ მაგვარი საერთო-ტიპობრივი რეკომენდაციების შემუშავება-დამტკიცებას. ცხადია, იგი არ გულისხმობს ერთიანი სავალდებულო ფორმის ტანსაცმლისა თუ ქცევის ნორმების შემოღებას მასწავლებელთათვის. მაგრამ უთუოდ გაითვალისწინებს მათი ყოფა-ცხოვრებისა და იერსახის ისეთ საერთო მონახაზებს, რომლებიც გამოარჩევს მასწავლებლებს საბჭოთა ინტელიგენციის სხვა ფენებისაგან და სოფლად თუ ქალაქად ყოველმხრივ მისაბაძ მაგალითად გახდის მათ ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

ამის აუცილებლობა იმითაც არის ნაკარნახევი, რომ რესპუბლიკის მასწავლებელთა მრავალრიცხოვანი რაზმის საკრძნობი ნაწილის მაღალნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისა და ენერგიტიკულ სანმეშუო ქცევა-ურთიერთობა ეფუძნება მიუხედავად, ჯერ კიდევ ცოტა როდია ისეთი მასწავლებელი, რომლისგანაც ჩვენი მოსწავლეები ვერც საკირო აღზრდა-განათლებასა და ვერც საბჭოური ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელ ჯანსაღ ჩვეულებს ვერ ღებულობენ. ი ეგეთი გამონაკლისი როდია, აგრეთვე, მასწავლებელი, რომელსაც დღემდე ვერ შეეგნია რა მოზარდი თაობის აღზრდა-განათლებაში მარად უკვდავი ბრძნული დებულებების მნიშვნელობა — „რომ აღზარდო, თვით უნდა იყო აღზრდილი“, „რომ ასწავლო ნიშნავს — ისწავლო“ — ხშირად ისეთ უპასუხისმგებლობასა და უდარდელობას იჩენს ამ მხრივ, რომ პირდაპირ დამდუმავ ზეგავლენას ახდენს აღსაზრდელთა სულსა და გულზე. მეტწილად სწორედ ასეთი „პედაგოგების“ სინდის-ნამუსზე მოდის მოსწავლეთა ერთი ნაწილის სამართალდარღვევებისა და დამნაშავეობის, შრომისადმი უპატივცემულობისა და უქნარობის, სხვათა მოიმედედ ყოფნისა და სხვა ასეთი მანკიერებანი, რომლებიც ერთობ ძნელად ასანაზღაურებელ მატერიალურ და სულიერ ზიანს აყენებს ჩვენს საზოგადოებას.

როგორც ცნობილია, არაერთი ასეთი შეუფერებელი და უგერგილო მუშაკი გამოავლინა მასწავლებელთა ატესტაციამ და ჩამოაშორა ისინი სკოლას, მაგრამ ეს ატესტაცია ხომ ჯერაც ყველას არ გაუვლია და მსგავსნი მათნი ხომ კიდევ ბოგინებენ სკოლებში, ხოლო მეორენი — ისინი, რომლებიც საატესტაციო კომისიების მიერ მკაცრად არიან გაფრთხილებული, კვლავ და კვლავ საჭიროებენ იმ ჭეშმარიტების შესწავლებას, რომ იდეურ-თეორიული დონის სისტემატური ამაღლებისათვის დაუცხრომელი ზრუნვა, საბჭოური ცხოვრების ახალ-ახალი მოთხოვნების შესაბამისი ზომიერი და გონიერი ჩაცმა-დახურვა. სწორფი მეცნიერული და ტექნიკური ალმავლობის ეპოქისათვის ფეხის აწყობა საბჭოთა მასწავლებლის მხოლოდ პირადი ნება-სურვილი არ არის — ეს სახელმწიფოებრივი, საქვეყნო და საერო

მოსავალი 77: გამოცდილება და პრო ლემები

თერჯოლის გარაჭიანი რთველი

● თქვენთან ვართ, გურჯაანელებო! ● სახელმწიფოს მარანში 22.000 ტონა ყურძენს მივიტანთ!

გურჯაანი საქართველოს ძირითადი მარანია, ოლო იქაური მეზვრე — ყველა ქართველი მეღვინეობის მგალობითის მიმცემი. ბუნებრივია, ყველა ბალ წამოწყებასაც და თაოსნობასაც ყურძნით დახუნძლულგენახებიანი კახეთიდან ველოდებით.

გუშინდელმა გაზეთმა „კომუნისტმა“ გვაუწყა ოდეც გურჯაანელთა ახალი ინიციატივის შესახებ. ათ გადაწყვეტეს, **რომ რთველი მოკლე დროში,** ულანაკარგად დაამთავრონ და **სახელმწიფოს მარანში 100 ათასი ტონა ყურძენი მიეტანონ.** ართველს **მოკლე დროში ორგანიზებულად** დამთავრებისათვის თავიანთი **მდიდარი გამოცდილება გა**გზიარეს ვაზის **მოტრფიალე გურჯაანელებმა.**

ჩვენი რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობის ალქტივის წევრები, მეღვინეებები გულდასმით ეცნობიან გურჯაანელთა გამოცდილებას.

ჩვენი **გურჯაანელი** მეგობრების თაოსნობას, გამოცდილებას კარგად გამოვიყენებთ და ქვეყნის ენაში ვალში არც თერჯოლელი მეღვინეები დარჩებიან. მართალია, მასშტაბურად კახეთის რაიონებს ვერ გავიფენთ მეტოქეობას, მაგრამ **საერთო ქართულ მარანში ჩვენს წილადად იქნება 22.000 ტონა ყურძენი, რაც გეგმიან დავალებას 5 ათასი ტონით სჭარბობს.**

რთველი ჩვენთან გვიან, ოქტომბრის პირველ ოცეულებში იწყება, მაგრამ ამ დიდი საქმისათვის ზადება თითქმის უკვე დავამთავრეთ. ყურძნის ბარვალდი გადამუშავების ქარხნები მთლიანად ეზრუნველყოფილია ტარა მასალითა და ჭურჭლით, წყსრიგშია მოყვანილი ყველა მანქანა-დანადგარი, სასასწორო მეურნეობა. დამატებით ველოდებით 10 ცალ წნეს, რომლის დამონტაჟება ნაარაუდევი გვაქვს საზაფხოა და ჩვენი სამონტაჟო ვენის ქარხნებში. გვინდა „სამტრესტის“ ხელმძღვანელობას ვთხოვოთ გამოგვიყოს ყურძნის სინჯის ამღები მექანიკური მოწყობილობანი იმ ვარაუდით, რომ ყველა ქარხანას 2 ცალი ჰქონდეს.

წინასწარ გატარებული ღონისძიებების შედეგად ბრულად უზრუნველყოფილი ვიქნებით ტრანსპორტით და საწვავით. ზეგზამა და ქარხნებს შორის ყველადღიურად იმუშავებს 208 მანქანა და ტრაქტორი, კარგი იქნება, თუ არ დაივიწყებენ სპეციალებენ ჩვენს მოთხოვნას **„საქმოფლტქნიკის“** ელმძღვანელები. ეს სიტყვები მათ საწყენად ნუ ერჩებათ, მათგან ჩვენ დიდად დავალებული ვარ და ახლაც ამედი გვაქვს.

ყურძნის გადასაზიდი ძარები საკმაოდ გვაქვს, **მაგრამ 15 ცალის შეკვეთა** დამატებით მაინც მიეცეთ „სამტრესტის“ ზეტატფონის მექანიკურ ქარხანას. ბეზობლების ოპერატიულ დახმარებაშიც ორ გვეპარება ეშვი.

ახლა თვით ყურძნის კრეფის ორგანიზაციის შესახებ: **რთველს ჩატარების** რაიონულმა შტაბმა, **რომელიც** კარგახანია შეუდგა მუშაობას, უკვე დამტკიცა ყურძნის კრეფის კალენდარული გეგმა-გრაფიკი. საქმე ის არის, **რომ** ჩვენს სოფლებში, ცალკეული ნაკვეთების მიხედვით ყურძენი ტექნიკურ სიმწიფეში სხვადასხვა დროს შედის. სწორედ ამას ვითვალისწინებთ კალენდარულ გეგმაში. ორეკ ის გავიკვირდებათ, **რომ** ამ საქმისადმი დიდ ინტერესს იჩენენ თვით მეღვინეები. ზოგჯერ მათს ირვანასაც ვითვალისწინებთ. ეს საპირო **იმიტომ, რომ** ერთნაირი ტექნიკური სიმწიფის დროს ზოგიერთი ნაკვეთი დაუყოვნებლივ უნდა დაიკრიფოს, **რადგან** ძლიერი ქარის ზონაშია და დაყოვნება ზიანის მეტს არაფერს მოგვიტანს.

რთველის მთლიანად დამთავრებას ორ კვირაში ველარაუდობთ, ყოველდღიურად 5.000 მუშა და კოლმეურნე იმუშავებს ზვრებში. ყველა მათგანი უზრუნველყოფილია ყურძნის საზიდი წვრილი ინვენტარით და მაკრატლებით. მთლიანად წესრიგშია გვაქვს საგენახე გზები, მაგრამ ბოლო დღეებში მოსულმა კოკისპირულმა წვიმებმა საბარუნავი მაინც გაგვიჩინა. ეს დიდ შრომასა და დროს მოითხოვს. ამის მიუხედავად ყველაფერს თავის დროზე მოვაგვარებთ.

ტრადიციულად ჩვენთან რთველის დროს ერთი მტკვანი ყურძენიც არ იკარგება, მაგრამ ეს სიფხიზლის მოდუნების უფლებას როდი გვაძლევს. პარტიის რაიკომმა, რაიონული საბჭოს აღმასკომმა, საახალო კონტროლის კომიტეტმა და კომკავშირის რაიკომმა უკვე გამართეს ოპერატიული თათბირები თვით მეურნეობებში. სოფლის მოწინავე ადამიანებისაგან შექმნილია საგუშაგოები, რომელთა თვალს არაფერი გამოეპარება.

მოსახლეობაში კარგახანია ეიწეკეთ ფართო ახსნა-განმარტებათ მუშაობას იმისათვის, რომ საიუბილეო წელს საკარმიდამო ვენახებიდან ყურძნის მოსავლის 90-95 პროცენტი სახელმწიფოს მიჰყიდონ. გულს ახარებს ჩვენი მშრომელების შეგნება, ბევრი მათგანი მთლიანი მოსავლის მიტანას აპირებს **საზოგადოებრივ** მარანში. აი, თუნდაც **ლევანეთელი პენსიონერი კოლმეურნე** ვასილ მდივნარაძე. **იგი** პატიოსან **სიტყვას** იძლევა, **რომ სახელმწიფოს მიჰყიდის სულ ცოტა 13 ტონა ყურძენს, მას** არც ვიქტორ არაბიძე **ჩამორჩება. 11 ტონა ყურძენი ქვეყანას!** — ასეთია მისი საიუბილეო პირობა. **12-14 ტონა ყურძენს გვპირდებიან** საკარმიდამოდან **და** საზოგადოებრივიდან **მკლავმოულლელი** მეღვინეები **თუზელი** ზოთა მაჩიტაძე, რუფოთელი ვალერიან **გოგიაშვილი,** ეფრემელი **ნოდარ ბასილაძე,** საზანოელი **გიორგი ჭანტურიძე,** თერჯოლელი **სერგო დევიძე.** ასეთები რაიონში ბევრია, რომელთა ჩამოთვლა საგაზეთო წერილში შეუძლებელია.

სწორედ გუშინ დავამთავრეთ რთველისთვის მზადების შემოწმება. მართალი გითხრათ, კმაყოფილი ვიყრჩინი. სოფლის თავკაცებს კარგი თაოსნობა დაუჭერიათ და დაპირებასაც სიმედოს იძლევიან. რუფოთის მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობაში წელს ადრე ნავარაუდევთან შედარებით 350 ტონით მეტ ყურძენს ელიან, თერჯოლის სახელმწიფო სანერგე მეურნეობაში 300 ტონით გადაჭარბებენ გეგმურ დავალებას. უფრო დიდი ზღუდეები აქვთ დასახული საზანოელ, ალისტბნელ და სიმთარველ კოლმეურნეებს.

ერთი სიტყვით, ასე ყოველმხრივ მომზადებულნი არიკ ერთი წინა რთველისათვის არა ვყოფილვართ.

ვიწონებთ თქვენს თაოსნობას, მხარს გიჭერთ, ჩვენო სახელოვანო გურჯაანელო მეზვრეებო! წლევანდელ საიუბილეო რთველს ნამდვილ ხაზეიმო ხასიათს მივცემთ. ზვრებში იქნებიან ჩვენი კოოპერატორები, კულტურის დარგის მუშაკები.

ყურძნის დიდი რაოდენობით ჩამბარებელთათვის შესაფერი ავტომანქანები, ძვირფასი ავეჯი. დაწესებულია გარდამავალი დროშები, ვიმპელები, ავრეთვე წამახალისებელი ღონისძიებანი, რაც უზრუნველყოფს ამ დიდი საშური საქმის ორგანიზებულად ჩატარებას და კონკრეტული პასუხი იქნება დიდი ოქტომბრის საიუბილეო დღესასწაულისათვის.

ა. გურჯანაძე,

საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი.

ფერსათი ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია შაიაოვსკის რაიონში. მწვანეში ჩაფული სოფელში ამჟამად 1.200-ზე მეტი ოჯახი ცხოვრობს.

სოფლის მოწინავე და პატივსაცემ ადამიანებს შორის აქ ხშირად ახსენებენ ექიმებს ცოლქმარ ვალენტინა და რობერტ ფორჩხიძეებს, რომლებიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ აქ ჩამოვიდნენ სამუშაოდ.

• • •

სურათზე: ახალგაზრდა ექიმები, კომკავშირლები ვალენტინა და რობერტ ფორჩხიძეები.

მ. მგრსამპის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მეექვსე შრომითი — სტუდენტური...

სტუდენტები აშენებენ ოგსერვატორიას

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა ერომა ნაწილმა წელს თავისი მესამე შრომითი სემესტრი აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ახალ მშენებლობაზე დაჰყო.

აქ, მარადმწვანე წიწვნარით შემოსილ ყანრიდის მთაზე, ზღვის დონიდან 1700 მეტრზე, ობსერვატორიის მეცნიერმუშაკებთან ერთად ახალი 34-ბინიანი საცხოვრებელი სახლი და ორკამერიანი ასტროგრაფი, სადაც დამონტაჟდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან შემოტანილი „ცარ ცეისის“ წარმოების ორმაგი ასტროგრაფის ტელესკოპი.

ორივე ეს შენობა, რომელთაც ამიერკავკასიის სტარნსპორტო მშენებლობის ტრესტის №815 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის (უფროსი შ. მალალეთიძე) მშენებლებმა შარშან ჩაუყარეს საძირკველი, წელს უნდა დამთავრდეს. გრაფიკით საცხოვრებელი სახლი საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს მესამე კვარტალს ბოლოსათვის, ასტროგრაფი კი მეოთხე კვარტალში. სტუდენტებმა დარჩენილი დრო დამკვრელური შრომის დღეებად გამოაცხადეს.

სტუდენტთა სამშენებლო რაზმი (მეთაური მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი გ. გვასალია, კომისარი — პედიატრიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი მ. ქვირიკაძე, ექიმი — სამკურნალო ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი თ. თეგზაძე) უანობილში სამუშაოდ 6 ივლისს ჩამოვიდა. მან 25 აგვისტომდე 36 ათასი მანეთის სამუშაო უნდა შეასრულოს.

— სტუდენტები დღეში 8 საათს მუშაობენ, თავიანთ უფასო დროს, განსაკუთრებით კი შაბათსა და კვირას ეჯაჭიჭიებს; სხვადასხვა სპორტული და კულტურულ-მასობრივ ღონისძიებებს აწყობენ, — გვითხრეს სტუდენტთა შრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, სამკურნალო ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა მ. ჯაფარიძემ და რაზმის კომორგმა ტ. ჩოლოყაშვილმა. სამშენებლო რაზმი შედგარია 30 სტუდენტისაგან, დაყოფილია სამ ბრიგადად. თვითეული ბრიგადის წევრები მუშაობენ ცალკეულ სამშენებლო ობიექტებზე და ერთმანეთს ეჯიბრებიან. ჯერჯერობით პირველობას არავის უთმობს პირველი ბრიგადა, რომელსაც ა. ჯანელიძე ხელმძღვანელობს. არც მეორე და მესამე ბრიგადები ზოგავენ ძალასა და ენერგიას საქმისათვის, მუდამ კეთილსინდისიერად აასრულებენ დავალებას. მათ მონაწილეობა მიიღეს საკავშირო კომკავშირულ შაბათობაში. ამ დღეს დამომუშავებული თანხა მთლიანად გადარიცხეს ჰანოის პიონერთა სახლის მშენებლობისათვის. მოაწყობენ კიდევ ერთ შაბათობას, რათა გამომუშავებული თანხა გადარიცხონ ქ. გაგარინის სხვადასხვა სამშენებლო ობიექტებისათვის.

ობსერვატორიის თანამშრომელთათვის და ეკიპრრტ აბასუთუმნის დამსვენებლებისათვის, სტუდენტთა ეროკალურ-ინსტრუმენტალურ ანსამბლმა გამართა საღამო-კონცერტი. კონცერტებს გამართავენ ადიგენის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. სტუდენტებს დაგეგმილი აქვთ ავრეთვე გამართონ საღამო, რომელიც მიეძღვნება მსოფლიო ახალგაზრდობის პირველი ფესტივალის 30-ე წლისთავს.

მსესერვატორიის მეცნიერ-მუშაკები თავიანთი მხრივ ახალგაზრდა მშენებლებისათვის კითხულობენ ლექციებს სხვადასხვა საინტერესო საკითხებზე.

ასე გაატარეს მესამე შრომითი სემესტრი სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებმა ყანობილის მთაზე.

შ. მაისურაძე,

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

საქართველოს დღეები სსრკ ბახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე

ევროპის ექრანებზე ქართული ფილმები



23 აგვისტოს მოსკოვის კინოთეატრ „თბილისში“, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მხატვრული სურათით „ნატვრის ხე“ გაიხსნა ქართული ფილმების ფესტივალი. ეს ფესტივალი მოეწყო დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის ახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საქართველოს დღეებთან დაკავშირებით.

მოსკოველებმა შეიყვარეს კინოთეატრი „თბილისი“, რომელიც დედაქალაქის ერთ-ერთ ულამაზეს რაიონში — ჩერიომუშკაში მდებარეობს. კინოთეატრში ყოველთვის იწყობა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სურათების პრემიერები. ამ თეატრში ხშირად არიან სტუმრად ქართველი მსახიობები, რეჟისორები და კინომცოდნეები.

ქართველ კინემატოგრაფისტების ახალი ნამუშევრის ჩვენებამდე კინოთეატრის დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა ფესტივალი. მაყურებელს გულთბილად მიესალმა მოსკოვში საქართველოს დღეებთან დაკავშირებით ჩამოსული დელეგაციის წევრი საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი რ. ჩხეიძე. მან ილაპარაკა ქართული კულტურის აყვავებაზე. ამ დიდ გზაზე, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში განვლო რესპუბლიკის კინემატოგრაფიამ, ამ ახალ ფილმებზე, რომლებშაც დიდი აღიარება მოიპოვეს საერთაშორისო კინოფესტივალებზე.

ქართველი კინემატოგრაფისტების ნამუშევრებს მაღალი შეფასება მისცეს ცნობილმა მსახიობმა და კინორეჟისორმა, სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის მდივანმა ა. ბატალოვმა.

ქართული ფილმების ფესტივალი დედაქალაქში 26 აგვისტომდე გასტანს. ფესტივალი მიმდინარეობს არა მარტო „თბილისში“, არამედ ისევ დიდ კინოთეატრებში, როგორიცაა „ორბიტა“, „ფორუმი“. ამ დღეებში მოსკოველები ნახავენ უკვე ცნობილ კინოსურათებს — „ქორწილი“, „ნერგები“, „გაქცევა განთიადისას“, „დაუპატიჟებელი სტუმრები“, „ცემბირული პაპა“, „იყო შაქი მგალობელი“, „ჯარის ალის მამა“, „ვერის ოჭნის მეოლოდები“, „პირველი მერცხალი“ და კინემატოგრაფისტების ახალი ნამუშევრები, რესპუბლიკის, მისი საქმეებისა და მისი ადამიანების შესახებ ფაფალიბელ დოკუმენტურ, სამეცნიერო-პოპულარულ ფილმებს.

(საქინფორმი).

საქართველოს პავილიონში...

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე დიდი გამოცოცხლებაა. საქართველოს პავილიონში თავი მოუყრიათ ჩვენი რესპუბლიკის მეგობრებს. საპატიო სტუმრებს, რომლებიც დიდი ინტერესით ათვალიერებენ გამოფენას.

მათ შთაბეჭდილებებს გადმოგვცემს ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტი.

გადამდგარი პოდპოლკოვნიკი ნ. ჩუდნოვი:

მოოთმენილად ველოდი ამ დღეს. გალოცავთ მოსკოვში საქართველოს სსრ დღეების საზეიმო გახსნას. მე ყალინინიდან სპეციალურად ჩამოვიდი მოსკოვში, რათა ძმურად გადავეხვიო ქართველ მეგობრებს. განსაკუთრებული მოლოდინებით დავთვალიერე სტენდი, რომელიც დიდ სამამულო ომს ეძღვნება, ძალიერად გავიღელვებულ ი. თოიძის ცნობილი პლაკატი „დიდი სამშობლო გეძახის“, რომელიც ომის მრისხანე წლებში დაფსა და ნაღარასავით მოოწოდებდა საბჭოთა ხალხს ფაშიზმის განსაოგადურებლად. ჩვენი ფმიდათაწმიდა ვალია თვალისჩინეთი გავიფიქრეთ ლენინის ეროვნული პოლიტიკის დიდ მონაპოვარს — საბჭოთა ხალხების ურღვევ ძმობას და მეგობრობას“...

სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მ. ოუშარაოვი:

სიამოვნებით ვფიქრობ თქვენს პავილიონს. დარბაზის კოლორატთან ჰარმონიულად არის შერწყმული თოფფრთიანის სკულპტურა „ბამარჯვება“, რომელისთვისაც ავტორს სახელმწიფო პრემია მიენიჭა, და გ. ორბაიოს სკულპტურული ნამუშევარი „რეფოლუციელ“. მომხიბლავი თავისი დინამიკით და გმირული სულით... ცალკე სტენდი აქვს დათმობილი კინოსტუდია „ქართული ფილმს“, რომლის ნამუშევრები საყოველთაო აღიარებით სარგებლობს ჩვენში და საზღვარგარეთ... გუშინდელივით მახსოვს 1936 წელი, საბჭოთა კავშირის საბჭოების მერვე სანანგებო ყრილობა. მე წილად მხვდა ბედნიერება ფიორენ ალმებიჭდა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის დამტკიცება — ჩვენი სახელმწიფოს დიდი საეტაპო მოვლენა...

რუმინელი სტუმარი

24 აგვისტოს თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში მყოფი რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრი ანჯელო მიკულესკი.

თბილისის აეროდრომზე ა. მიკულესკის დახვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სოციალურ საქმეთა მინისტრი შ. კიკნაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. გელდაშვილი, სსრ კავშირის დამზადების მინისტრი გ. ზოლოტუხინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მოშაკი ა. სიჩი, საქართველოს სსრ დამზადების მინისტრი შ. ჭანკვაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი, საქართველოს სსრ დამზადების მინისტრის პირველი მოადგილე გ. აზაურაშვილი, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე თ. ჯაბადარი და სხვა ოფიციალური პირნი.

ქვეყანაში მოგზაურობის დროს ა. მიკულესკის ახლავან სსრ კავშირში რუმინეთის საელჩოს პირველი მდივანი ი. ობრეა. სსრ კავშირის დამზადების მინისტრის მოადგილე ჯ. კოლობაევი.

(საქინფორმი).

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

აქ ჩაის კვლავ არავინ კრეფს

ჩვენი გაზეთის 3 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილ მამხილებელ წერილში — „ჩაი — გაუზეშდა, ბერეფაევები არ ნანახ“ საუბარი იყო ჩაის ფოთლის კრეფაში ორსებულ სერიოზულ დარღვევებზე, რასაც ადგილი ჰქონდა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ლაბრის ქალთა ბრიგადის სახელობის კოლმეურნეობაში. აღნიშნული იყო, რომ დიდი რეზერვები გამოუყენებელია, პლანტაციებში დიდძალი ნედლეული იკარგება, ამ სოფლის მეცხვეურები აუღელვებლად, მშვიდად შეჰყურებდნენ, როგორ ეზეშდებოდა ჩაის ნორჩი ფოფოლი კარგახნის მიტოვებულ უპატრონო პლანტაციებში. აქ ისეთი პლანტაციებიც იყო, სადაც წლევანდელ სეზონში კაცს ხელი არ მიჰკარებია, თავმინებებული პლანტაციები ეკალ-ბარდითა და გვიმრით იყო დაფარული. იქვე მიეუთითებდით, **რომ** ჩაისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ამ კოლმეურნეობაში ძირითადად შრომის ორგანიზაციის მოუწესრიგებლობისა და მექანიზაციის უგულებელყოფის ბრალი იყო.

მას შემდეგ ოც დღეზე მეტი გავიდა. ჩვენ დავინტერესდით გაგვეგო, თუ რა ზომები მიიღეს წესრიგში მოუყვანიათ და ნედლეულის ნახაკარგებს ადგილი არა აქვს. ამ ბრიგადის წევრები, როგორც თვითონ ბრიგადირმა, კომკავშირელმა ავრორამმა ალ. ავედიანმა და კოლმეურნე კომფინანსტმა ს. ვართანიანმა განაცხადეს, — თამბაქოს მოვლასაც ასწრებენ და ჩაის ფოთოლსაც დროულად კრეფენ. მაგრამ რაოდენ დასანანია, **რომ** ამ პლანტაციების გვერდით, იქვე, ზხის მეორე მხარეს ჩაის პლანტაციები უპატრონოდ არის მიტოვებული.

ეს მდგომარეობა სრულებით არ აღელვებთ კოლმეურნეობის მესვეურებს (თავმჯდომარე ალ. ავედიანი, პარტბიუროს მდივანი გ. მელქონიანი).

უფრო მეტიც, ზეზეთის სამარილიან კრიტიკულ გამოსვლას დუმილით შეჰყურებს საქართველოს კომპარტიის ოჩამჩირის რაიკომი. აქ, სამწუხაროდ, როგორც ეტყობა, ეს წერილი არც კი წაუკითხავთ!

საინტერესოა, **როგორ** ფიქრობენ ოჩამჩირელები ნაკისრი ვალდებულების შესრულებას?!

ი. ბოგაჩია,

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

სიგნალები ჩაის პლანტაციებიდან

▣

რაიონისა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამ მიზნით ადგილზე კვლავ ვნახეთ ლაბრელთა ჩაის პლანტაციები. ვნახეთ და განცვიფრებული დავრჩით, როცა ამდენი ხნის შემდეგ ჩაის ფოთოლი ათობით ჰექტარზე მოუკრეფავი იყო და ყლორტები ორჯერ უფრო დაგრძელებულა. თუ ადრე 30-50 სანტიმეტრი სიგრძე ჰქონდა, ახლა 70-100 სანტიმეტრამდე გაზრდილან. ასეთივე ტემპით გაზრდილა ამ პლანტაციებში გვიმრა და ეკალ-ბარდი. ასე იყო ამ კოლმეურნეობის პირველი, მეექვსე და მეცხრე ბრიგადების (ბრიგადირები ს. საკიანი, ალ. გალუსტიანი, ალ. კეშეშიანი) პლანტაციებში, შემოწმების დღეს კოლმეურნეობაში ჩაის ფოთოლს კვლავ არავინ კრეფდა. დათვალიერებამ გვაჩვენა, **რომ** კოლმეურნეობის მხოლოდ და მხოლოდ მეათე ბრიგადის მშრომელებს პლანტაციები ჯეროვან

საქართველოს სსრ შრომითი რესურსების სახელმწიფო კომიტეტის ცნობა

▣

ქალაქები და რაიონები	დამატებითი დავალების შესრულება პროცენტში
მახარაძის რაიონი	200,0
გორის რაიონი	150,0
წყალტუბოს რაიონი	116,0
დმანისის რაიონი	110,0
ახმეტის რაიონი	104,0
ქალაქი რუსთავი	100,0
წულუკიძის რაიონი	100,0
ლაგოდეხის რაიონი	73,3
ყვარლის რაიონი	56,0
ქალაქი ქუთაისი	50,0
სიღნაღის რაიონი	36,6
ბაგრატოვის რაიონი	34,2
თეთრი წყაროს რაიონი	33,3
ქალაქი ზუგდიდი	33,3
ქალაქი ფოთი	28,5
გურჯაანის რაიონი	25,3
თერჯოლის რაიონი	21,6
ხაჩხერის რაიონი	20,0
ახალციხის რაიონი	15,0
გარდაბნის რაიონი	13,6
სამტრედიის რაიონი	10,0
ქალაქი თბილისი	8,7
ახალქალაქის რაიონი	5,9
ბოლნისის რაიონი	2,0
კახეთის რაიონი	1,1
ქალაქი ჭიათურა	—
ბოგდანოვკის რაიონი	—
ქარელის რაიონი	—
მარნეულის რაიონი	—
მცხეთის რაიონი	—
ორჯონიკიძის რაიონი	—
ხაშურის რაიონი	—
წალკის რაიონი	—
წითელწყაროს რაიონი	—
აფხაზეთის სსრ	25,6
აჭარის სსრ	17,0
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	12,5

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, მთელმა რიგმა რაიონებმა და ქალაქებმა წარმატებით უზრუნველყვეს დავალების შესრულება, მათ შორის მახარაძის, გორის, დმანისის, ახმეტის, წულუკიძის, წყალტუბოს რაიონებმა, აგრეთვე ქალაქმა რუსთავმა.

დანარჩენ რაიონებსა და ქალაქებში უახლოეს დროში უნდა მიიღონ ზომები, **რომ** უთუოდ შესრულდეს **რესპუბლიკის** სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი უბნებისათვის დამატებით მუშახელის შეგროვების დავალება, მითუმეტეს დიდი მუშაობა მართებთ იმ რაიონებსა და ქალაქებში, სადაც საამოდ ჯერ თითი თითზე არ დაუკარებიათ.

სამრეწველო და სამშენებლო ობიექტები ელიან მუშებს.

ღირსეულად შევხვდეთ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს

ობიექტები ელიან მუშახელს

რესპუბლიკის სსრ მშრომელები, რომლებიც სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს ასრულებენ, ყველა ღონეს ხმარობენ, რომ წარმატებთან გაანადღინონ საიუბილეო წელის — მეათე ხუთწლედის მეორე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმები და ნაკისრი მაღალი სოციალისტური ვალდებულებები. 1977 წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 100 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სამრეწველო პროდუქცია, საშუალო სადღეღამისო წარმოება შარშანდელი წლის 6 თვესთან შედარებით 8 პროცენტით და მეტად გაიზარდა. რაკი რესპუბლიკის ცალკეული სამრეწველო საწარმოები და მშენებლობები მუშახელის ნაკლებობას განიცდიან, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ზოგიერთი წამყვანი ობიექტის კადრებთან სრულად დასაკომპლექტებლად ჩაბმულ იქნეს მუშახელის დამატებითი კონტინგენტი.

აი როგორი სურათია დამატებითი მუშახელის შეგროვების საქმეში:

საქართველოს სსრ შრომითი რესურსების სახელმწიფო კომიტეტის ცნობა

▣

მახარაძის რაიონი	200,0
გორის რაიონი	150,0
წყალტუბოს რაიონი	116,0
დმანისის რაიონი	110,0
ახმეტის რაიონი	104,0
ქალაქი რუსთავი	100,0
წულუკიძის რაიონი	100,0
ლაგოდეხის რაიონი	73,3
ყვარლის რაიონი	56,0
ქალაქი ქუთაისი	50,0
სიღნაღის რაიონი	36,6
თეთრი წყაროს რაიონი	33,3
ქალაქი ზუგდიდი	33,3
ქალაქი ფოთი	28,5
გურჯაანის რაიონი	25,3
თერჯოლის რაიონი	21,6
ხაჩხერის რაიონი	20,0
ახალციხის რაიონი	15,0
გარდაბნის რაიონი	13,6
სამტრედიის რაიონი	10,0
ქალაქი თბილისი	8,7
ახალქალაქის რაიონი	5,9
ბოლნისის რაიონი	2,0
კახეთის რაიონი	1,1
ქალაქი ჭიათურა	—
ბოგდანოვკის რაიონი	—
ქარელის რაიონი	—
მარნეულის რაიონი	—
მცხეთის რაიონი	—
ორჯონიკიძის რაიონი	—
ხაშურის რაიონი	—
წალკის რაიონი	—
წითელწყაროს რაიონი	—
აფხაზეთის სსრ	25,6
აჭარის სსრ	17,0
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	12,5

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის **„პარტიული სიტყვის“** მორიგი, მეთექვსეტე ნომერი.

ჟურნალის ახალ ნომერში გამოქვეყნებულია მოწინავე — **უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ პარტიული სიტყვის, შრომითი და ზნეობრივი მაგალითის, ორგანიზატორული მუშაობის ძალა.**

„ოქტომბერი — 60“, — ამ რუბრიკით ჟურნალში დაბეჭდილია: **ვ. ბარციცის** — საბჭოთა ფეხბურთი ალმაცლობის გზით; **ა. ჩიტაიას** — განახლებული გუფი; **ა. ონანიანის** — საპენსიო ასაკის შესახებ; **ი. ბოლქვაძის** — სოფლის ექიმ-ტორები — მასების შეადგენენ. რუბრიკით **„საიუბილეო წლის შრომითს ვიხტზე“** გამოქვეყნებულია **ი. წირიდვავს** წერილი — ბეჭიაეთა ხუთწლედი და ოგტატორი.

განყოფილებაში **„ავამაღლოთ პოლიტიკური აგიტაციის როლი სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში“** დაბეჭდილია: **კ. მდინარაძის** — გამოცდილება არის. როგორ ვაერცელებთ? **დ. გურგენიძის** — გადმონაშთებს ეარი.

ჟურნალის ახალ ნომერს აქვს ავრეთვე განყოფილებები **„ალმდას — კომპლექსური მიდგომა“, „მასალები სიტყვიერი გამოსვლისათვის“, „ჩვენი კრიტიკული გამოსვლის შემდეგ“, „ვუბრუნდებით დაბეჭდილს“, „ჩვენი ცნობა“.**

ჟურნალის ახალ ნომერში მეოთხეული ბევრ საინტერესო მასალას გაეცნობა.

„პარტიული სიტყვა“ № 16

სპეჯაკი ლენინელი

ერმილე ბედიას ხსოვნას

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავზე ერთხელ კიდევ უნდა ვალიხსენოთ ის ადამიანები, რომლებიც თავდადებით იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად.

ასეთ ადამიანთა რიგებს ეკუთვნის თვალსაჩინო პარტიული და საზოგადო მოღვაწე ერმილე ბედია, **რომელმაც** მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლას მოახმარა.

ერმილე (ერიკ) ბედია დაიბადა სენაკის მაზრის სოფელ ბომბოთში ღარიბი გლეხის ოჯახში. მამა ადრე გარდაეცვალა და იგი სწავლასთან ერთად ცამეტი წლის ასაკიდან შრომით საქმიანობას შეუდგა. 1918 წელს სწავლის გასაგრძელებლად გადავიდა თბილისში და ცხოვრობდა თავის ბიძასთან, **რომელიც** ამიერკავკასიის რკინიგზაზე კონდუქტორად მუშაობდა.

რკინიგზელ მუშათა წრეში მან ბევრი რამ გაიგო და გადაწყვიტა მუშათა კლასის ინტერესებისათვის მებრძოლთა რიგებში ჩამდგარიყო. 1919 წლის თებერვალში იგი კომკავშირის არალეგალურ ორგანიზაციაში შეიყვანეს. 1919-1921 წლებში აქტიური რევოლუციონერ სანქმიანობას ეწეოდა, მონაწილეობდა თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის ყველა ღონისძიებაში, **რომლებიც** რაზმავდნენ მშრომელ ხალხს მენშევიკური მთავრობის დასამხობად და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეებიდანვე ე. ბედია ხელმძღვანელ კომკავშირულ სამუშაოზე გადაბიჯებს. იგი ჯერ ლენინის რაიკომის და შემდეგ აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი იყო. მ

მსოფლიოს ამბები

ტელეტაიპი გადმოგვცემს

ზეიმი ბუქარესტში

ბუქარესტი, 23 აგვისტო. (საკდესი). აქ გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების 33 წლისთავს.

კრებას ესწრებოდნენ რუმინეთის კომპარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ნ. ჩაუშესკუ, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები, კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ელჩრანები.

კრებაზე მოხსენება გააკეთა რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკმდივნის წევრმა, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრმა მ. მენესკუმ. მან აღნიშნა 23 აგვისტოს აჯანყებისა და ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების ისტორიული მნიშვნელობა რუმინელი ხალხისათვის და ხაზი გაუსვა რუმინეთის კომპარტიის როლს ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქვეყნის განთავისუფლებისათვის, აქცა მომხსენებელმა, რუმინელმა ხალხმა გამოიყენა ის კარგი საგარეო პირობები, რომლებიც შეიქმნა საბჭოთა არმიის დიადი გამარჯვების შედეგად, რადგან სწორედ მას დაუწყია მეორე მსოფლიო ომის ძირითადი პიძნელე, აგრეთვე ანტიჰიტლერული კოალიციის სხვა ქვეყნებისა და ოკუპირებული ქვეყნების წინააღმდეგობების მოძრაობის წარმატებები.

მ. მენესკუმ პატივისცემით მოიხსენია 23 აგვისტოს შეიარაღებული ანტიფაშისტური აჯანყების ყველა მონაწილეთა გმირობა და მადლობა გადაუხადა მამაც საბჭოთა მებრძოლებს, რომლებიც სიცოცხლეს არ იშურებდნენ ფაშისტური გერმანიის განადგურებისათვის, ფაშისტური უღლისაგან ხალხთა განთავისუფლებისათვის. რუმინელი და საბჭოთა მეომრების ერთობლივმა ბრძოლამ რუმინეთისა და სხვა ქვეყნების ტერიტორიების სრული განთავისუფლებისათვის ფაშიზმზე საბოლოო გამარჯვებამდე განამტკიცა რუმინელი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხების ძმური მეგობრობა.

შეეხო რა რუმინეთის საგარეო პოლიტიკას, ნ. მენესკუმ აღნიშნა, რომ ამ პოლიტიკის ცენტრშია ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარება, მათი ერთობის გაღრმავება ეს მსოფლიო სოციალიზმის პოზიციების განმტკიცების, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში მისი წვლილის ზრდის პირობაა.

დღეს ბუქარესტში მშრომელთა საზეიმო დემონსტრაცია გაიმართა. დედაქალაქის საწარმოებისა და დაწესებულებების კოლექტივების წარმომადგენლებმა უპატაკეს საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში მიღწეული წარმატებების შესახებ.

ახალი დირექტორი და ძველი ფუნქციები

ნიუ-იორკი, 23 აგვისტო. (საკდესი). დაზვერვის ფედერალური ბიუროს ახალი დირექტორის პოსტზე ალაბამის შტატის სამხრეთელი წარმომადგენლის ფ. ჯონსონის დაწინაურებამ უარესად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია ამერიკის საზოგადოებრიობის ფართო წრეებში. ამას წერს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ და აღნიშნავს, კერძოდ სერიოზულ უკმაყოფილებას, რომელიც გამოიწვია ფ. ჯონსონის განცხადებამ იმის შესახებ, რომ „აპირებს“ საიდუმლო პოლიციის ისეთივე შეფი იყოს, როგორიც თავის დროზე საკმაოდ ცნობილი ე. ჰუვერი გახლდათ. ეს განცხადება საზოგადოებრიობას მიანიშნა იმის კიდევ ერთ დადასტურებად, რომ დაზვერვის ფედერალური ბიუროს მეთაურის შეცვლა მთლიანად სახელგატეხილი უწყების „ფასადის განახლების“ მიზნით სრულიადაც არ შეცვლის ამერიკის საიდუმლო პოლიციის რეპრესიულ არსს.

ჰუვერის დროს და მის შემდეგ დაზვერვის ფედერალური ბიუროს ყოველთვის იყო ამერიკელთა მოქალაქეობრივი უფლებების ნახშობის იარაღი. თვალთვალი „სხვაგვარად მოაზროვნეებისადმი“, დოსიეს შედგენა, საეჭვოთა მიყურადება, უკანონო ჩხრეკა, კერძო მიმოწერის გახსნა, ყალბი „საქმეების“ შეკოწყება, უდანაშაულო ადამიანების დაძინება და სახელის გატეხა — ასეთია საიდუმლო პოლიციის არასრული „ნამსახურეობის სია“.

ფართოდ გახმაურდა მიჩქმალული ფაქტები იმის შესახებ, რომ დაზვერვის ფედერალური ბიუროს ხელი ერია გამოჩენილი ზანგი ლიდერის მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობაში, ეგრეთ წოდებულ პროგრამა „კოინტელ-პროში“, რომელიც სპეციალურად იყო შემუშავებული სხვაგვარად მოაზროვნეთათვის ანგარიშის გასასწორებლად.

ხელმძღვანელობა ახალია, მეთოდები და ფუნქციები კი წინანდელი — ასე აფასებს საზოგადოებრიობა თეთრი სახლის გადაწყვეტილებას დაზვერვის ფედერალური ბიუროს ახალ დირექტორად ფ. ჯონსონის დანიშვნის შესახებ. ეს ფუნქციებია ყოველგვარი „სხვაგვარად აზროვნების“ ჩახშობა, შეუნელებელი პოლიტიკური ზედამხედველობა ამერიკელებისადმი.

რა ნებავს მ. დაიანს?

ლონდონი, 23 აგვისტო. (საკდესი). აქ ერთი დღის ვიზიტით ჩამოვიდა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. დაიანი. ოფიციალური ვერსიის თანახმად მისი ვიზიტის მიზანია „შეხვდეს ებრაელთა ორგანიზაციების წარმომადგენლებს და გაიცნოს მათ ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობა“. მაგრამ, იდგილობრივ მიმომხილველებს სრულიადაც არ ჰგონიათ, რომ ამ ვიზიტის მიზეზები ესოდენ პროზაული იყოს. ისინი სვამენ კითხვას, რატომ გამოაცხადეს ამ ვიზიტის დაწყება მხოლოდ ორი დღით ადრე? რაში დასჭირდათ ლონდონს გეგზავნათ ასეთი რანგის მოღვაწე, თუ საქმე ეხებოდა ისეთ ნვეულებრივ საკითხებს, როგორიცაა ებრაული თემის ინფორმირება, თუ ამ საკითხს აღვილად გაართმევდნენ თავს სხვა სიონისტი მოღვაწეებიც?

ამ კრებულ სხვა მიზნებს ისახავს დაიანის მისია და მისი შეხვედრები ინგლისში მეტად გაელენიანი სიონისტური ლობის ლიდერებთან. ისინი უწინარეს ყოვლისა ნაკარნახევია იმ შეფოთებით, რომელიც ტელ-ავივში გამოწვია ბრიტანეთის კუნძულებზე უარყოფითმა რეაქციამ იმის გამო, რომ ბეგინის მთავრობამ გადაწყვიტა ალშენოს ახალი გასაიმხედროებელი დასახლებანი მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე,

ამ ვიზიტის სტრატეგიული საჩრდილი ის არის, რომ ინგლისის სიონისტური წრეები დარაზმის ისრაელი „ქორების“ კურსის მხარდასაჭერად.

დააკატიმრეს ყოფილი მინისტრი

დელი, 23 აგვისტო. (საკდესი). ინდოეთის სამაჩარის საგენტო ოფიციალურად იტყობინება, რომ დაპატიმრეს ინდოეთის ყოფილი თავდაცვის მინისტრი ბანსი ლალა. მას ბრალად დასდეს სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება პირადი გამდიდრების მიზნით. რამდენიმე დღის წინ დაპატიმრეს იმ პირთა ჯგუფი, რომლებიც ყოფილი პრემიერ-მინისტრის ჯახლოეს წრეში შედიოდნენ.

„კოსმოს-936“ — კოსმოსური ბიოლოგიის ეფექტური ლაბორატორია

19 დღის ორბიტული ფრენის შემდეგ დედამიწაზე დაბრუნდნენ თანამგზავრ „კოსმოს-936“-ში მოქმედი მორიგი ბიოლოგიური ლაბორატორიის ბინადრები. 22 აგვისტოს თანამგზავრი რბილად დაეშვა დასახულ რაიონში და შეხვედრის ადგილზე ერთდროულად გაჩნდნენ ვირტმფრინავებით მედიკოსები და ინჟინრები — საერთაშორისო ბიოლოგიური ექსპერიმენტის საველე საექსპედიციო რაზმი.

სპეციალისტებმა მაშინვე მოაწყვეს საცდელი ცხოველებისა და სხვა ბიო-ობიექტების პირველი გამოკვლევა. დაშვების ადგილზე რამდენიმე წუთში გაიშალა გასაბერი ანგარი — მეცნიერები და ინჟინრები „საფეხელორო“ ოპერაციებს შეუდგნენ. ექსპერიმენტის პირობის თანახმად, ცხოველთა მეტი ნაწილისთვის უბედურად ფრენის დამთავრებისთანავე უნდა ჩაეტარებინათ კლინიკურ-ფიზიოლოგიური გამოკვლევა.

— კოსმოსში ბიოლოგიური ლაბორატორიის მუშაობის პროგრამა მთლიანად შესრულდა, — თქვა მეგაცნიერ მეცნიერებათა დოქტორმა ნ. ნ. გუროფსკიმ — ვფიქრობ, ყველა ჩემი კოლეგა, კოსმოსური მეცნიერების ამ მორიგ წარმატებას რომ ზეიმობენ, მადლიერების სიტყვებით უწინარეს ყოვლისა მიმართავენ ინჟინრებსა და მუშებს, რომლებიც ქმნიან „კოსმოსის“ სერიის თანამგზავრებს — მრავალფეროვანი სამეცნიერო და სახალხო-სამეურნეო ექსპერიმენტებისათვის საჭირო სიიმედო ტექნიკას.

საცდელი ობიექტების წინასწარი გამოკვლევის შემდეგ ყველა საფეხელი გვაქვს ფრენისაგან მოველოდეთ მდიდარ მეცნიერულ მასალას კოსმოსური ფრენის ფაქტორებთან ცოცხალი ორგანიზმის ურთიერთობის ყველა პრობლემაზე. ექსპერიმენტების მთელი კომპლექსიდან, რომლებიც თანამგზავრში ერთად დააყენეს სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის სპეციალისტებმა ჩვენ განსაკუთრებით მოველით საცდელი ცხოველების ჯგუფის გამოკვლევის დაწერილებითა შედეგებს. რომლებიც კოსმოსში დაფრინავდნენ ხელოვნურად შექმნილი გრავიტაციის პირობებში. ჩვენ ფრენის პირობებზე მათს რეაქციას შევადარებთ მათი ორეულებისას, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ ასეთ „დედამიწიურ კომფორტს“. განსაკუთრებით საინტერესო იქნება იმის შედარება, თუ როგორ უვითარდებოდა ამ ორ ჯგუფს ნივთიერებათა ცვლის პროცესები, ქსოვილოვანი სუნთქვის მექანიზმი, დაფაკვირდებთ ცვლილებებს საყრდენ-მამოძრავებელ აპარატში, იმონოლოგიური პროცესებში.

ახლახელ ბიოთანამგზავრებს თან მიჰქონდა უაღრესად მრავალფეროვანი საკვლევი აპარატი. სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მედიკო-ბიოლოგიური პრობლემების ინსტიტუტის მეცნიერებმა თვითანთ კოლეგებთან — ამერიკის შეერთებული შტატების ნასა-ს სამმართველოს ეიმსის საკვლევი ცენტრის მუშაკებთან ერთად მოაწყვეს საინტერესო ექსპერიმენტი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, დავადგინოთ, თუ რა გავლენას ახდენს უწონობა ცოცხალი ორგანიზმის დაბერების მექანიზმზე. მეცნიერული და ტექნიკური თვალსაზრისით ორიგინალურია საფრანგეთისა და სსრ კავშირის სპეციალისტთა მიერ მომზადებული ექსპერიმენტის — „ბიოპლიკის“ იდეა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ ცდაში მიღებულ ერთ-ერთ ორგანიზმებსა და მცენარეთა თესლზე გალექტიკური გამოსხივების ძლიერ ბირთვების ბიოლოგიური ზემოქმედების დეტალურ სურათს.

ფართოდ იყო წარმოდგენილი რადიობიოლოგიური და საინჟინრო-ფიზიკური ექსპერიმენტები. გრძელდებოდა ეგრეთ წოდებული თანამგზავრის ელექტროსტატიკური დაცვის სისტემის გამოცდა, რომელიც საბჭოთა კავშირის მთელი რიგი საკვლევი ცენტრების კოლექტივებმა შექმნეს და რომელმაც ეს გამოცდა წარმატებით ჩაიარა. სისტემის საფუძველი ელექტროსტატიკური პარალელის დასტურები ნაკეთურების ირეკლვა ელექტროლეის შექმნა, რომელიც მიმართულებას შეუქმნის კოსმოსურ ... ...